სპორტი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 4 ივლისი 2006 №151 (2773) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონი აქ მე ვარ!





საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაცია ფიფადან მოკვეთეს — ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება მიიღო ზეპ ბლატერის ორგანიზაციამ.

საქმე ისაა, რომ საბერძნეთის მთავრობის მიერ მიიღებული სპორტის ახალი კანონი ფიფა-უეფას პრინციპებს უგულებელყოფს, რამაც მსოფლიო ფეხბურთის მმართველთა აღშფოთება გამოინვია. კანონი 2005 წლის სექტემბერში შევიდა ძალაში და ფიფამ მაშინვე გააფრთხილა ბერძნები, მასში შესაბამისი ცვლილებები შეეტანათ, რაზეც ევროპის მოქმედმა ჩემპიონებმა ყური არ შეიბერტყეს და დაისაჯნენ კიდეც — ბერძნები ვერანაირ საერთაშორისო შეჯიბრებაში ვერ მიიღებენ მონაწილეობას.

ფიფას პრეს-რელიზის თანახმად, ეს გადაწყვეტილება მიიღო საგანგებო კომიტეტმა, რომელშიც შედიოდნენ რეგიონულ კონფედერაციათა პრეზიდენტები და წარმომადგენლები.

FOOTBALL

Greece given suspension by Fifa

Greece, who are scheduled to play England in a friendly in August, have been suspended from international competition by Fifa.

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი ვასილის გაგაცისი შავ დღეშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიფამ ბერძნული ფეხბურთი მთავრობის ხუშტურებს ქათამივით დააკლა

დღეს გერმანია — იტალიაა!

90 წუთში, 120-ში თუ პენალტებში, დღეს მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ფინალისტი გაირკვევა — დორტმუნდში გერმანია და იტალია შეასკდებიან ერთმანეთს.

გერმანელს თუ იტალიელს 1 მარტი აკერია პირზე. რა მოხდა ამ გაზაფხულის პირველ დღეს? ფლორენციაში ამხანაგურად სათამაშოდ ჩასულ გერმანიას „სკუადრა აძურამ“ 4:1 გაატანა შინ. ახლა კი სახლში გერმანიაა და შურისძიების წყურვილი ჰკლავს. თუმცა მარტის მატჩი რომც არ ყოფილიყო, განა ამით დაძაბულობა და ინტრიგა მოაკლდებოდა დღევანდელ თამაშს?! რა თქმა უნდა, არა. სასწორზე ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი დევს და ამ ბრძოლის წინ გერმანელებს ერთი მეომარი მოაკლდათ — ფიფამ ტორსტენ ფრინგსი ერთი მატჩით დასაჯა, არგენტინელებთან მატჩისშემდგომ ჩხუბში მონაწილეობდაო.

მალე მე-18 ეროვნულია, ბევრის ჯიბეში კი ნულია

მუნდიალი მუნდიალად და, ცოტა ხანში საქართველოს მე-18 ეროვნული ჩემპიონატი დაიწყება. ახლა არ მოვყვებით ოცნებების სადღეგრძელოს, რადგან, სამწუხაროდ, მაინცდამაინც დასაიმედებელი და ვინმესთან გასაჯიბრებელი ბევრიც არაფერი გვაქვს.

ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონატის განახლებამდე სულ რაღაც ერთი თვით ადრე კლუბების უმეტესობამ არ იცის ყველაზე მთავარი და ყველაზე ელემენტარული — რამხელა ჯიბე ექნებათ და როგორი შემადგენლობა ეყოლებათ ახალ სეზონში.

ფაქტი კი ესაა: გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ და ფეხბურთის ფედერაციამ დაადგინეს, რომ მე-18 ეროვნულში ისევ თექვსმეტგუნდა უმაღლესი ლიგა გვექნება. თითქმის გადაწყვეტილია ისიც, რომ ჩემპიონატი 28-29 ივლისს დაიწყება, კალენდრის უთარიღო ვარიანტს კი მეთორმეტე გვერდზე იხილავთ.

ახლა პროფლიგა ფედერაციისა და საქართველოს ნაკრების თავკაცთა სიტყვას ელის და კალენდარიც საბოლოო სახეს, სავარაუდოდ, ორ-სამ დღეში მიიღებს.

EXCLUSIVE

იტალიის სპორტის თავკაცი ფეხბურთის მაფიოზთა თავებს ითხოვს



ბაჩო სვანიძის ექსკლუზიური ინტერვიუ მარიო პესკანტესთან

იხილეთ მე-13 გვერდზე

ავთანდილ მურასაშვილის ფოტო

მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ნახევარფინალი. დღეს



AFP

1. იენს ლემანი (35) — იურგენ კლინსმანმა კარი მას ანდო და არც შემცდარა. ლემანმა არგენტინასთან მატჩში ორი პენალტი მოიგერია, გერმანია კი ნახევარფინალში გავიდა.

3. არნე ფრიდრიხი (27) — მარჯვენა მცველი, რომელმაც კოსტა რიკასთან მატჩში ცუდად ითამაშა, მაგრამ მერე გამოსწორდა.

17. პერ მერტესაკერი (21) — დებიუტი 2004 წლის ოქტომბერში, ირანთან შეხვედრაში ჰქონდა და მას შემდეგ კლინსმანი მუდამ ანდობს ცენტრალური მცველის პოზიციას.

21. კრისტოფ მეცელდერი (25) — მასაც არ გამოუვიდა კოსტარიკელებთან კარგად თამაში, თუმც ნელ-ნელა მოუმატა.

16. ფილიპ ლამი (22) — ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა მცველი ჩემპიონატზე. მუნდიალის პირველი გოლის ავტორი. საუცხოოდ ერთვება შეტევებში. არც პასი დაეწუნება და არც დარტყმა.

19. ბერნდ შნაიდერი (32) — მარჯვენა ნახევარმცველი. სწრაფია, საგოლე პასები ეხერხება და ფრიდრიხს დაცვაში ეხმარება.

5. სებასტიან კელი (26) — საყრდენი ნახევარმცველი, რომელიც კლინსმანს უმეტესად შეცვლაზე შეჰყავს. ჯერ კიდევ 2002-ში საუცხოოდ ითამაშა რუდი ფიოლერის გუნდში.

13. მიხაელ ბალაკი (29) — კაპიტანი და ნაკრების გული. შორიდანაც საუცხოოდ ურტყამს და თავით თამაშშიც უბადლოა.

7. ბასტიან შვაინშტაიგერი (22) — ერთ-ერთი უნიჭიერესი ნახევარმცველი. მან და ლამმა მარცხენა ფლანგზე კარგად ააწყვეს. პირველ მატჩში გაიბრწყინა, მაგრამ მერე უკლო.

11. მიროსლავ კლოზე (28) — ნაკრებისა და ჩემპიონატის მთავარმეგოლე.

20. ლუკაშ პოდოლსკი (21) — 30 სანაკრებო მატჩში 15 გოლი გაუტანია. გერმანული ფეხბურთის იმედი.

გერმანია — იტალია

დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი". 23.00.
მსაჯი: ბენიტო არჩუნდია (მექსიკა)

თერთმეტწლიანი ცისფერი ოცნება

გახსოვთ, თქვენ რომ იცინოდით?



ტორსტენ ფრინგსი

მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელს ოქროს თასამდე ორი თამაშის მოგება აშორებს, ოღონდ... ოცნების ასახდენად არც მეტი, არც ნაკლები, ჯერ იტალიაა გადასალახავი, სხვაზე კი მერე ვილაპარაკოთ და ვიფიქროთ. ზოგადად გერმანელები, მოგეხსენებათ, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები არიან. ბოლოს მათ 1990 წელს სწორედ იტალიაში გაიმარჯვეს, როდესაც ფინალში არგენტინას მოუგეს 1:0, მაგრამ როგორც გერმანელი მიმომხილველები წერენ, იტალიასთან დაკავშირებით მათ ფეხბურთელებს გაცილებით ახალი მოგონებები აქვთ — მარტში, ამხანაგურ შეხვედრაში 1:4 დამარცხებისთვის შურია საძიებელი. ის ამბავი ფლორენციაში მოხდა და სწორედ მაშინ იყო მას-მედიამ ბუნდესმწვრთნელს იურგენ კლინსმანს ლამის „ყელი რომ გამოღადრა". ახლა კლინსმანის მოსაკლავად ნაშიშვლები დანები ჩაგებულია — გასულ პარასკევს გერმანიის ნაკრებმა არგენტინას პენალტებით მოუგო მეოთხედფინალური შეხვედრა და ქვეყანაში ზოგადი კმაყოფილება სუფევს, თუმცა იტალიაზე მაინც გაჰკრავთ ხოლმე ეჭვიანი ფიქრი.

„ბოლო წლებში იტალიელებთან რამდენჯერმე წავაგეთ და ეს ბალანსი გამოსასწორებელია — ამბობს ფრინგსი, რომელიც არგენტილებთან ჩხუბის გამო დღევანდელ მატჩს გამოტოვებს — რა თქმა უნდა, ყველას გვახსოვს ის 1:4-იც, მაგრამ ახლა არა მგონია, მაგ წაგების გამო ნერვიულობა გამართლებული იყოს. მაშინ, ფლორენციაში ჩვენ კატასტროფულად ვითამაშეთ, რაც ფაქტია, რომ აღარ განმეორდება".

ფრინგსმა ბოლო წლებზე გაამახვილა ყურადღება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ გერმანელებს „სკუადრა აძურასთან" ყოველთვის ფრიად უსიამოვნო ბალანსი ჰქონდათ — 28 შეხვედრიდან მხოლოდ შვიდჯერ უჯობნიათ იტალიელებისთვის, თუმცა მედალს ორი მხარე აქვს. მუნდიალზე გერმანიის ნაკრები ჩინებულად თამაშობს, ხუთიდან ხუთი მოიგო და რატომაც არ უნდა სწამდეს, რომ ბოლო 11 წელიწადში პირველად დაამარცხებს „ცისფერ გუნდს"?

„გახსოვთ? ბევრი იცინოდა, როდესაც ვამბობდით, რომ ჩვენი მიზანი მსოფლიოს ჩემპიონობაა. საბედნიეროდ, ახლა ყველა სხვანაირად ფიქრობს. ბოლო ექვსი კვირის განმავლობაში ჩვენი გუნდი ძალიან გაიზარდა და ჩამოყალიბდა ისეთად, რომელზეც თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოს ჩემპიონობა შეუძლია. მართლაც დიდი ნაბიჯებით მივიწევთ წინ, მაგრამ ორი ძალიან დიდი ნაბიჯი ჯერ კიდევ გადასადგმელია. ამწუთას ჩემი კარიერის ყველაზე დიდი მწვერვალი იტალიასთან გამარჯვება იქნება. მე თავად ძალიან ბევრი რამ ვისწავლე" — ამბობს კლინსმანი.

და მოდი, საკითხს კიდევ ერთი გერმანული მხრიდან შევხედოთ — თუკი ბუნდესნაკრები 2002 წელს, მაშინ, როდესაც მისი თამაშის შემყურე ამას არავინ ელოდა, ფინალში გავიდა, რატომ ვერ უნდა შეძლოს იგივე ახლა, როდესაც გაცილებით უკეთესი გუნდი ჰყავს და თან შინ თამაშობს?

მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი: „ნურავინ იფიქრებს, რომ გერმანია ყოველ მუნდიალზე პენალტების სერიით შემთხვევით იმარჯვებს. უბრალოდ, ჩვენ, გერმანელებს მტკიცე ნერვები გვაქვს და ეს თამაშობს გადამწყვეტ როლს".

ჩავხედოთ სტატისტიკას: 1982 წელს გერმანიამ პენალტებით საფრანგეთი დაამარცხა, 1986 წელს მექსიკა, 1990 წელს ინგლისი და გასულ პარასკევს არგენტინა.

შეგვიძლია გერმანიისა და იტალიის დაპირისპირების წინ კიდევ ერთი ინტრიგა შემოგთავაზოთ: მარჩელო ლიპის გუნდმა ხუთ თამაშში მხოლოდ ერთი გოლი გაუშვა და ისიც საკუთარ კარში სულელურად დარტყმული, გერმანელებმა კი უკლებლივ ყველა შეხვედრაში გაიტანეს. მაშ, ვინ გაიმარჯვებს დღეს, უძლიერესი დაცვა თუ თავდასხმა?

გერმანიის ნაკრებში ტრავმირებული არავინაა.

„ბალაკიცა და კლოზეც შეძლებენ თამაშს" — დაამშვიდა ქომაგები კლინსმანის ასისტენტმა იოახიმ ლიოვმა.

და კიდევ, თამაში დორტმუნდშია, რაზეც სწორედ „დორტმუნდის" ნახევარმცველი კრისტოფ მეცელდერი ასე ამბობს: „ვერ გეტყვით, რატომ გამოგვდის დორტმუნდში თამაში ასე კარგად. ალბათ იმიტომ, რომ დიდი სარბიელია და ხალხი ფეხბურთით სუნთქავს. დორტმუნდში ყოველთვის დიდებული ატმოსფეროა და ახლაც ასე იქნება".

შეხვედრას 40 წლის მექსიკელი მსაჯი ბენიტო არჩუნდია გაუძღვება. თანამსაჯები იქნებიან მისი თანამემამულენი, ხოსე რამირესი და ექტორ ვერგარა. ამ სამეულმა მიმდინარე მუნდიალზე ორი თამაში იმსაჯა: იტალია — ჩეხეთი 2:0 და ბრაზილია — ხორვატია 1:0.

პაპუნა კვედია

1. ჯანლუიჯი ბუფონი (28 წლის) — მსოფლიოს უძვირფასესი მეკარე. „იუვენტუსმა" მის სანაცვლოდ 45 მილიონ 900 ათასი დოლარი გადაიხადა.

19. ჯანლუკა ძამბროტა (29) — უნივერსალური ფეხბურთელი. დაცვასა და ნახევარდაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში.

5. ფაბიო კანავარო (32) — ალბათ, საუკეთესო მცველი ამ ჩემპიონატზე.

23. მარკო მატერაცი (32) — აგრესიული, იდაყვების მქნეველი და მუდამ ჯარიმის ზღვარზე მოთამაშე მცველი.

3. ფაბიო გროსო (29) — მარცხენა მცველი. კარგად ერთვება შეტევებში. სახელი სერსე კოზმის „პერუჯაში" გაითქვა და შემდეგ „პალერმოში" გადავიდა. მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტით გაიტანა ტოტიმ ავსტრალიასთან მატჩის ბოლო წუთზე და იტალია მეოთხედფინალში გავიდა.

20. სიმონე პერროტა (28) — ინგლისში დაბადებული და იტალიაში გაზრდილი. „რომას" ნახევარმცველი. ხშირად იცვლის ფლანგებს და ყველგან ეფექტურია. ჯგუფის პირველ მატჩში განასთან დაამტკიცა, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაში ეკუთვნის.

8. ჯენარო გატუზო (28) — საოცრად ენერგიანი და მებრძოლი. ნახევარმცველი. ალბათ, ერთადერთია, ვისაც უფლება აქვს, მარჩელო ლიპის შინაურულად მოუთათუნოს ხელი სახეზე.

21. ანდრეა პირლო (27) — საგოლე პასებისა და საჯარიმო დარტყმების ოსტატი.

10. ფრანჩესკო ტოტი (29) — ამ ზამთარს ტრავმა რომ არ მიეღო, ახლა გაცილებით ეფექტური იქნებოდა.

9. ლუკა ტონი (29) — სერია A-ს და ევროპის საუკეთესო ბომბარდირი. 22 სანაკრებო მატჩში 9 გაიტანა, მათ შორის ორი მეოთხედფინალში უკრაინასთან.

11. ალბერტო ჯილარდინო (23) — შარშან გადავიდა „მილანში", მაგრამ ისე ვერ ბრწყინავს, როგორც „პარმაში". 19 სანაკრებო მატჩში 8 გოლი გაიტანა.

რუნის კერძებიდან:
წვრილად დაჭრილი ესპანეთი რონალდუ

უეინ რუნი კრიშტიანუ რონალდუს ორად გაგლეჯვას უპირებს — ინგლისის ნაკრების ფორვარდი ამბობს, რომ მუნდიალის მეოთხედფინალურ შეხვედრაში ის მოედნიდან სწორედ ამ პორტუგალიელმა გარემარბმა გააგდებინა. მოკლედ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთი ვარსკვლავი მეორეზე გაცეცხლებულია და ერთი სული აქვს, როდის შეხვდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სერ ალექს ფერგიუსონს „ოლდ ტრეფორდზე“ ახალი კრიზისი ემატება.

დავძინოთ, ჟურნალისტებისთვის „ორად გაგლეჯვის“ ამბავი ინგლისის ნაკრების ბანაკიდან გახდა ცნობილი, თორემ რუნი რონალდუს ოფიციალურად, ვთქვათ პრესკონფერენციაზე ან რომელიმე გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში არ დამუქრებია. 20 წლის მანჩესტერელს საუზმის დროს უამბია თანაგუნდელებისთვის, რომ რონალდუ — ასევე მანჩესტერელი, 21 წლის — მატჩის წინ მასთან ღიმილით მისულა და თითქოსდა ხუმრობით უთქვამს, ნახე დღეს მსაჯს შენი თავი თუ არ გავაგდებინოო.

„უეინმა იცის, რომ ფერგი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ინტერესებიდან გამომდინარე, მისი და რონალდუს შერიგებას შეეცდება, მაგრამ აქედანვე ამბობს, ამ საქმიდან არაფერი გამოვა“ — თქვა ინგლისელთა ნაკრების იმ წარმომადგენელმა, რომელმაც საუზმის ამბავი ჟურნალისტებს უამბო. შეგახსენებთ აგრეთვე, რომ რონალდუმ ერთი კვირის წინ საჯაროდ გამოთქვა „მანჩესტერიდან“ მადრიდის „რეალში“ გადასვლის სურვილი და მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში მომხდარმა ამბავმა, არ არის გამორიცხული, ალექს ფერგიუსონს მართლაც რონალდუს გაყიდვისკენ უბიძგოს.

პაპუნა კედია

თავში თუ მიკროფონი ურტყი, ვერ ითამაშებს

წარსულის ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავთაგანი მიშელ პლატინი მსოფლიოს ჩემპიონატზე ნანახი ფეხბურთის ხარისხით უკმაყოფილოა. 1982 და 1986 წლების მუნდიალების ნახევარფინალისტმა აზრი გერმანულ „კიკერს“ გაუზიარა.

„იყო რამდენიმე კარგი და რამდენიმე ცუდი თამაში, მაგრამ ზოგადად, ვფიქრობ, ფეხბურთი მაღალი სტანდარტისა არ ყოფილა. ალბათ, ეს ფეხბურთელების მხრეზე შემოგდებული ტვირთით უნდა ახსნას. მაგალითად, 1984 წელს, როდესაც თავად ფეხბურთელი ვიყავი და საფრანგეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა, შეჯიბრების განმავლობაში დიდი დიდი ერთ ჟურნალისტს თუ ვესაუბრე, ახლა კი თითოეულ მოთამაშეს რეპორტიოთა ჯგუფი დასდევს“.

„ოქროს ბურთის“ სამგზის ლაურეატს ბრაზილიელ რონალდინიოზეც ჰკითხეს, რაზეც მან უპასუხა, რომ 2005 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა მუნდიალზე მისთვის ჩვეული ფეხბურთი ვერ ითამაშა, ხოლო მსაჯობაზე ის ბრძანა, რომ არბიტრებს მისდა სამწუხაროდ, ერთი სული აქვთ ჯიბიდან წითელი ან ყვითელი ბარათი ამოიღონ.

„ფეხბურთი კაცური თამაშია და სულ პატარა მიკარებაზე ყვითელი ბარათით სირბილი ჩემთვის გაუგებარია“ — თქვა პლატინიმ.

პაპუნა კედია

ნუ გამოტოვებთ გაღამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა

და ღაი-ღაის აბონენტებისთვის.

GEO ჯეო

გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006

და გამოიწერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე

და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის ჰიმნები.

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ეძებს ეძებულია ჯეოსელის

FIFA WORLD CUP GERMANY 2006

www.geocell.ge

მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

გიო ახვლედიანის სვეტეული

პლატონი და ინგლისი

1950 წელი. ბრაზილია. აშშ — ინგლისი 1:0
ლარი გაიტიენსს გოლი გააქვს ინგლისელთა კარში.
ბერტ ვილიამსი მოწყენით შესცქერის ბურთს. თავის პირველივე
მსოფლიო ჩემპიონატიდან ინგლისმა დაუვიწყარი წაგებები დაიბედა

AFP

ისევე, როგორც რვა წლის წინ,
მიკ ჯაგერი უვარგის ინგლისურ პენალტებს დაესწრო

დიდიე ზოკორა!

რა შუაშია?

ასე იცის მსოფლიო ჩემპიონატის მიწურულს, თავში იმდენი ფეხბურთელის გვარი გიტრიალებს. შეიძლება, აღარ გახსოვდეს მისი იერი და თამაშის სტილი, მაგრამ უცებ გვარი წამოტივტივდეს.

ძველი მსოფლიო ჩემპიონატებისგან განსხვავებით, ახლებში უცნობი სახელები არ არის, ან თითქმის არ არის, ისეთ სახელებს ვგულისხმობ, თავს რომ დაგამახსოვრებდა.

მაგალითად, პიტერ კრაუჩი.

კრაუჩი ბარე ხუთი წელიწადია, ვიცი.

საბჭოთა დროში კი პირველად პარაგვაისთან თამაშში ვნახავდით.

ახლაც მახსოვს, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ მე და ჩემი კლასელი მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის გმირებს ვწერდით და ვითვლიდით. იმ გვარებს ვწერდით, ვინც გაგვეგონა 11-12 წლისებს. სიაში ჰოლანდიელები სჭარბობდნენ. ცხადია, რატომაც, მე კი საიდანღაც მქონდა გერმანელების შემადგენლობა და გუეგოუ ლიატო, ფლოე აბრამჩიკი... გერმანელები იყვნენ. ჰოდა, ჩემმა კლასელმა მონდომებით გამოიყვანა რვეულში: მიშელ პლატუნი. ეს იქნება ყველაზე მაგარიო, ბიძაჩემმა ჯქვაო. ბიძამისი ბულგარეთში ყოფილიყო და იქ ტელევიზორში ენახა მიშელ პლატუნი აი, რა დღეში ვიყავით. ტკბილ დღეში, ოღონდ, მონდომება დიდი იყო. პლატუნი, ვერ დავიმახსოვრე იმ ჩემპიონატზე, ძაან კი ვეცადე: დავიმახსოვრე მხოლოდ ძელს მიხლილი ფრანგების მეკარე დომინიკ ბარატელი: მთელი თბილისი ამბობდა, ქართველიაო.

AFP

ქართველები თვლიან, რომ
პიტერ კრაუჩი ფეხბურთელი არ
არის. ამის მიუხედავად, აყლაყუდა
„ლივერპულის“ ძირითადში დგას

ეს ზღაპრები რომ იქით იყოს, მსოფლიო ჩემპიონატებს თავისი მითოლოგია აქვს.

ამ მითოლოგიის ერთ-ერთი ტკბილი ნაწილია ინგლისი, წითელი ბარათი და პენალტები.

დიდად საინტერესო ისტორიაა, როგორც იტყვიან. თანაც პენალტების წინ ეკრანზე მძიმედ ჩაფიქრებული მიკ ჯაგერი უნდა გამოჩნდეს. რვა წლის წინ: არგენტინასთან — ბექემის გაძევება, ფრე, პენალტები, მიკ ჯაგერი, გავარდნა. წლეულს, პორტუგალიასთან — რუნის გაძევება, ფრე, კვლავაც გმირული თამაში, პენალტები, მიკ ჯაგერი, გავარდნა. ორი წლის წინ რიკარდო, ახლაც რიკარდო. დიდი ფილი, სვენი. შარშან სტამბოლის სტადიონზე ვლადიმირ მასლაჩენკოს გადავეყარე და იმან მითხრა: ეგ რიკარდო უვარგისი მეკარეა, ორიოდე პენალტი აიღო, მაგრამ ცუდად დარტყმული. მეტი არაფერი...

რიკარდომ წლეულს სამიოდე პენალტი აიღო იმავე ხალხისგან. ისევ ძალიან ცუდად დარტყმული.

ოდნავ უკეთესი მეკარეა, ვიდრე ორი წლის წინათ იყო.

ოღონდაც, ეს ინგლისის ისტორიაა და არა რიკარდოსი. მთავარი აქ ინგლისის საიდუმლოა.

1966 წლიდან მოყოლებული, რომელ მსოფლიო თასზეც კი შეუღწევია ინგლისის ნაკრებს, ყველგან მსოფლიო ჩემპიონობა ნდომებია. ეს ჩვენში ცნობილი ნაკლებადაა, თუმცა ინგლისი მსოფლიო ჩემპიონატზე წასვლისას წინდაწინ აცხადებს ხოლმე, რომ მიდის საჩემპიონოდ. ალალი წაგებით ინგლისი გამოვარდნილა სამჯერ — გერმანიასთან 70-ში, არგენტინასთან 86-ში და ბრაზილიასთან კორეა-იაპონიაში. სამივე ეს გამოვარდნა სალაპარაკო შექნილა და ძალიან დრამატულიც. წაუგებლად ინგლისი გამოვარდნილა 4-ჯერ: 82-ში ჯგუფიდან, 98-ში პენალტებით, 90-ში პენალტებით და წლეულსაც პენალტებით.

საპენალტე მითოლოგია განუმეორებელია: მსოფლიოში სხვას არავის აქვს ასეთი თავგადასავალი, ის მეორდება თაობიდან თაობაში. ინგლისმა ერთადერთხელ, ევრო 96-ზე შეძლო პენალტებით გასვლა შემდეგ წრეში, სადაც პენალტებითვე წააგო. ეს რას ნიშნავს? ძნელი სათქმელია. ძალიან ძნელი ასახსნელია. პენალტებს აცილებენ ის ადამიანები, რომლებსაც არასოდეს აუცილებიათ, ანდა ისინი, რომლებსაც არასოდეს დაურტყამთ. ყველანი ძალიან ცუდად ურტყამენ, ყველაზე მაგარი ბიჭებიც კი, თანაც მიკ ჯაგერიც იქვეა.

მხიარული ინგლისი...

ეს დრამა იმდენჯერ მეორდება, რომ უკვე სახალისოა და, საერთოდ, კარგავს დრამის იერს.

საერთოდ, ინგლისი და ბრაზილია გვანან ერთმანეთს. ფეხბურთში არა: ფეხბურთის ახლო საკითხებში.

მაგალითად, ნაკრების მწვრთნელი: იქაც და იქაც მსოფლიოში არ მოიძებნება მესამე ქვეყანა, სადაც მწვრთნელი, თუნდაც ჯერ დაუნიშნავი, ასეთ დაწოლას რომ განიცდიდეს. ყველაფერში დამნაშავე მწვრთნელია. ინგლისში პრემიერ ბლეერსა და ერიკსონზე დაწოლის ძალა ერთმანეთისგან ძნელად გამოირჩევა. ზოგჯერ მეორეზე ბევრად მეტია.

ბრაზილია ჩემპიონი მაინც ხდება ხოლმე: ინგლისი — ვერასდროს.

მაგრამ ინგლისი თითქოს ყოველთვის მზადაა საჩემპიონოდ. უიღბლობა არაფერ შუაშია. უბრალოდ, ინგლისი ისეთი რიხით მიდის მსოფლიო თასზე, რომ ის უნდა დაემართოს, რაც ემართება ხოლმე. ინგლისში, ისევე, როგორც ბრაზილიაში, ფეხბურთი სრულიად რელიგიური ამბავია. თანაც ის ძველი რელიგიაა. სხვა ქვეყნებთან შედარებით, ინგლისში ფეხბურთი ძალიან ძველი თამაშია და ბევრ ისეთ რამეს შეიცავს, სხვაგან რომ უბრალოდ არ არის. ამაში ბევრია სასარგებლო და უვარგისი, მაგრამ ამისგან გათავისუფლება შეუძლებელია. სიძველე ყველაზე მეტად ჩანს ნაკრებში. ამ თვისებათა ჩამოთვლის ადგილი აქ ვერ არის. ნაკლზე კი არ ვამბობ. რასაც ინგლისური თამაში მოიცავს, ის ნაკლი კი არა, სულ სხვა რამეა. ვთქვათ, ბრმანაწლავი. ნაკლი ხომ არ არის?! არსებობს და მორჩა.

იცით, როგორ თამაშობენ ინგლისელი ბავშვები? ფეხბურთის სკოლებში კი არა, ისე.

ოთხი წლის ბიჭიც აკეთებს ოთხ რამეს: დარტყმა ნებისმიერი პოზიციიდან დაუმიზნებლად, უკანმოუხედავი პადკატი, ამოუსუნთქავი სირბილი და ნებისმიერი სიშორის ჩაწოდება (კროსი კი არა, დილივერი, ანუ როგორმე ბურთი წინ მიტყანა). ასე იზრდებიან ეს ბავშვები და ასე აღიქვამენ ფეხბურთს. ერთადერთი ფეხბურთი, რომელსაც თავიანთის გარდა ინგლისში აღტაცებით მოიხსენიებენ, არის ბრაზილიური ფეხბურთი.

ინგლისის ნაკრებში მიღებული კეპი და მაისურა ფეხბურთელისთვის არის ყველაზე ძვირფასი რამ. მაგრამ იმავე ფეხბურთელისთვის ყველაზე ძნელია ინგლისის ნაკრებში თამაში. მწვრთნელი, თუნდ უცხოელი, ძალიან შებორკილია. არ არსებობს იმაზე უფრო საშინელი მიკროსკოპი, ვიდრე ის, ნაკრებს რომ ადგას თავზე. ნაკრები კი არა, მითოლოგია სტადიონებსაც ეხება. გახსოვთ, როგორ უჭირდა „არსენალს“ უემბლიზე თამაში? იმ გუნდში უცხოელები სჭარბობდნენ, მაგრამ ინგლისში ასეა: კლუბში თუნდ 20 უცხოელი იყოს, სული ინგლისურია და უცხოელიც ავტომატურად ხდება მითოსის და ისტორიის მონაწილე. ძოლა ამბობდა ერთხელ, იტალიამ რომ ინგლისს მოუგო მისი გოლით ძველ უემბლიზე, თამაშის წინ მუხლები მეკვეთებოდა და უემბლი, უემბლი ჩამესმოდაო. რატომ? ძოლა ინგლისში თამაშობდა და თანამონაწილე იყო. ეს უემბლი ინგლისელებისთვის დიდი შინაგანი ამბავია. შეიძლება სრულიად გადამეტებულიც. არ მგონია, სხვა ნაკრებისთვის რაგინდარა შინაური სტადიონი ნიშნავდეს რაღაცას, თუნდაც მიახლოვებულს, მხოლოდ „მარაკანა“, ალბათ, აი, კიდევ ერთი მსგავსება.

მოკლედ, ამ ათასთა და ასიათასთა მიზეზთა გამო ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა.

ინგლისი კი სახლში მიდის.

მიდის, სულ ერთ თვეს მოიცდის და სექტემბრიდან ხელახლა დაიწყებს ზუსტად იმავეს. იმიტომ, რომ წინ ევროპის ჩემპიონატია. დაიწყებს იმავე განწყობით, იმავე სიმძიმით, იმავე მონდომებით, ნერვებით და თავისი ერთადერთი, ძალიან ფეხბურთული ფეხბურთით, რომელიც ისე გადაჯაჭვია წარსულს და აწმყოს, ცხოვრებას და გრძნობებს, რომ მისგან ვერასდროს დაიხსნის თავს და ვერასდროს იქცევა უბრალოდ თამაშად.

მიშელ პლატუნი — რამდენი დრო გავიდა?

ინგლისი კი ისევ ისეა.



რაიმონ დომენეკი

AFP

რიკარდუ

გაშიშვლებამდე ორი მოგება მაკლია

საფრანგეთი პორტუგალიას ოთხჯერ შეხვედრია და ოთხჯერვე მოუგია, მაგრამ ერთხელ დამატებით დროში. ეს მატჩი ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალი გახლდათ. ძირითადი დროის ფრედ, 1:1 დასრულების შემდეგ ლურჯებმა 2:1 იმარჯვეს. ფინალში ისინი იტალიას გადაეყარნენ და იქაც დამატებით დროში იმავე ანგარიშით მოიგეს. მსგავსი ფინალი შესაძლოა, ახლაც შედგეს, თუ „მამლები“ ლუზიტანებს კვლავ დაამარცხებენ, ხოლო მეორე ნახევარფინალურ წყვილში „სკუადრა აძურა“ მუნდიალის მასპინძელ გერმანიას წააქცევს.

„ჩვენ პორტუგალია უკვე დამარცხებული გვყავს, მაგრამ სტატისტიკა და ისტორია გადამწყვეტი როდია. ახლა 2006 წელია და ყველაფერი ოთხშაბათს საღამოს, მინდორზე გაირკვევა. ზოგი თვლის, რომ ახლა უფრო იოლი მეტოქე გვყავს, ვიდრე ბრაზილია იყო. მე ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. პორტუგალიელებს უმაღლესი კლასის გუნდი ჰყავთ და შეუძლიათ, მოწინააღმდეგეს თავიანთი თამაში მოახვიონ თავზე. ლუიშ ფელიპე სკოლარის კარგად არ ვიცნობ, მაგრამ იგი მსოფლიოს ჩემპიონია და ამით ყველაფერია ნათქვამი. მას დიდ პატივს ვცემ“ — თქვა ფრანგთა 54 წლის მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა.

დომენეკს უამრავი კრიტიკოსი ჰყავდა, როგორც სამშობლოში, ასევე მის გარეთ, მაგრამ ესპანეთთან და განსაკუთრებით ბრაზილიასთან ბრწყინვალე გამარჯვების მერე მათი რიცხვი საგრძნობლად შემცირდა. ახლა იგი ანტიგმირიდან ლამის გმირად აქციონ.

რაიმონ დომენეკი: „ახლა მთავარია, ბრაზილიის დამარცხებით საქმე მომთავრებულად არ ჩავთვალოთ და არ მოვდუნდეთ. მართალია, ჩვენ უკვე დიდ წარმატებას მივაღწიეთ და კარგია, როცა შრომას გიფასებენ, მაგრამ ბოლომდე ჯერ არ მივსულვართ და გაჩერება არ შეიძლება. ნამდვილი ზეიმის საფუძველი იმ შემთხვევაში გვექნება, თუ ჩემპიონები გავხდებით“.

ბევრი დომენეკს ახლაც ალმაცერად უყურებს და თვლის, რომ საფრანგეთმა წარმატებას მხოლოდ იმიტომ მიაღწია, რომ ლიდერები სათანადოდ ათამაშდნენ და მწვრთნელი არაფერ შუაშია. თავად „მამლების“ თავკაცი კი მიიჩნევს, რომ პრობლემა ფსიქოლოგიური გახლდათ. ფეხბურთელების უმეტესობას ჯერ კიდევ ახსოვდა 2002 წლის მუნდიალი, როცა ფრანგებმა გახსნით მატჩში სენეგალთან 0:1 წააგეს. გოლი ვერც მომდევნო ორ მატჩში გაიტანეს და ჯგუფში ჩარჩნენ.

„ვფიქრობ, რამდენიმე ფეხბურთელი ჯერ კიდევ ოთხი წლის წინანდელი შთაბეჭდილებების ქვეშ იყო. მათ იგივეს განმეორების იმდენად ეშინოდათ, რომ ზედმეტად ფრთხილობდნენ. როცა ტოგოს მოვუგეთ და მერვედფინალში გავედით, ასეთი ფრაზებიც კი გავიგონე — როგორც იქნა, შეგვიძლია, 2002 წლის მუნდიალი დავივიწყოთ“ — დასძინა დომენეკმა.

დიდი აურზაურია ლუზიტანთა ბანაკშიც. ეს პორტუგალია უკვე შევიდა ისტორიაში იმით, რომ 40 წლის წინანდელი მიღწევა გაიმეორა და, ეუსებიოს დროინდელი ლეგენდარული ნაკრების დარად, მუნდიალის ნახევარფინალში გავიდა. თუმცა სკოლარის შეგირდები ამაზე გაჩერებას არ აპირებენ და ისტორიაში პირველად მუნდიალის მოგება სურთ. აღსანიშნავია, რომ პორტუგალია დიდი ტურნირების ფინალში აქამდე მხოლოდ ერთხელ ყოფილა და ისიც ორი წლის წინ ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც საკუთარ კედლებში საბერძნეთთან წაგო გადამწყვეტი მატჩი.

„მიღწეულით დაკმაყოფილებას ნამდვილად არ ვაპირებთ. მუნდიალზე შემორჩენილი ოთხი გუნდიდან მხოლოდ პორტუგალია არ ყოფილა მსოფლიოს ჩემპიონი, მაგრამ ჩვენ ამ სტატისტიკის შეცვლას ვაპირებთ. წესები და რეკორდები იმისთვის არსებობს, რომ დაირღვეს და შეიცვალოს“ — გასაგებად მიგვანიშნა პორტუგალიელთა მეკარემ რიკარდუმ, რომელმაც ინგლისთან მეოთხედფინალურ მატჩში სამი პენალტი მოიგერია და მსოფლიოს ჩემპიონატებს რეკორდი დაამყარა.

საინტერესოა, რომ რიკარდუმ ისიც თქვა, თუ ჩემპიონები გავხდით, გავშიშვლდებიო. გარდა ამისა, ლისაბონის „სპორტინგის“ კარის დარაჯი იმედოვნებს, რომ საფრანგეთთან მატჩში ხელჩართული ჩხუბები აღარ იქნება, როგორც 2000 წლის შეხვედრაში იყო.

„ძალიან დაძაბული თამაში გველის, მაგრამ ჩხუბზე ნუ ვილაპარაკებთ. იმედია, უსიამოვნო ინციდენტებს ადგილი არ ექნება. ეს მსაჯზეც არის დამოკიდებული. მაგალითად, ჰოლანდიასთან შეხვედრაში ვალენტინ ივანოვს აშკარად გაექცა მატჩის სადავეები ხელიდან და ასეთი რამ არ უნდა განმეორდეს. მეტოქე ძლიერია, თუნდაც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ზინედინ ზიდანი რად ღირს. ძალიან სამწუხაროა, რომ მან კარიერის დასრულება გადაწყვიტა, როცა ჯერ კიდევ ასე მაღალ დონეზე თამაში შეუძლია. ფრანგებს ზიდანის გარდა არაერთი ვარსკვლავი ჰყავთ, მაგრამ მთავარია, საკუთარ სტილში ვითამაშოთ და გამარჯვებას შევძლებთ. უბრალოდ, ჩვენ მეტოქეზე ერთით მეტი უნდა გავიტანოთ“ — დასძინა ოპტიმისტურად განწყობილმა რიკარდუმ.

გიორგი კაკაბაძე

აგენტი ბლექბერნში



ინგლისურმა „ბლექბერნმა“ 25 წლის ფორვარდ ფრენსის ჯეფერსთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით. იგი „ივუდ პარკზე“ „ჩარლტონიდან“, თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა.

„არსენალის“ ყოფილი თავდამსხმელი, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში ერთხელ უთამაშია, გასულ სეზონში „რეინჯერსში“ იყო განათხოვრებული, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლო და გლაზგოელებმაც მისი დატოვება იუარეს. აღსანიშნავია, რომ კარიერის საუკეთესო პერიოდში ჯეფერსმა ტრავმა რამდენჯერმე მიიღო, რის მერეც ფორმის აღდგენას ვერ ახერხებს.

„რამდენიმედღიანი მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა, რაც ძალიან მახარებს. ბოლო წლებში ტრავმებმა გამაწამეს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ძველებურად ათამაშება შემიძლია. თავს არ დავზოგავ სათანადო ფორმაში ჩასადგომად და ვეცდები, „ბლექბერნს“ ყველანაირად დავეხმარო“ — თქვა ჯეფერსმა.

კოკი კანდელაკი



ტაში ჰიდეტოშის

ყველაზე ცნობილი აზიელი მოედანს გაეყარა

ჰიდეტოში ნაკატა პროფესიული ფეხბურთიდან წავიდა. დიდ სპორტთან გამოთხოვების შესახებ, აზიის ყველაზე ცნობილმა ფეხბურთელმა, მსოფლიოს თავისი ვებ-გვერდის საშუალებით ამცნო.

„როგორც პროფესიონალი მოედანზე აღარასოდეს გავალ — წერს 29 წლის ნაკატა, რომლის ბოლო მატჩი იაპონიის ნაკრების შემადგენლობაში ბრაზილიასთან 1:4 დამარცხება გახლდათ — დაახლოებით ნახევარი წლის წინ გადავწყვიტე, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გამოვემშვიდობებოდი საქმეს, რომელსაც 10 წელიწადი ვემსახურე. ძალიან მწყინს იაპონიის ნაკრებისთვის მუნდიალი ასე რომ დასრულდა, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ვცდილობდი ჩემს თანაგუნდელებს წინ გავძღოლოდი. იმედი მაქვს, ქომაგები მიხვდებიან, რომ ის, რასაც ვაკეთებდი, სწორი იყო.“

ჰიდეტოში ნაკატა 1998 წლის ჩემპიონატის შემდეგ იტალიურმა „პერუჯამ“ შეიძინა, საიდანაც 2000 წელს „რომაში“ გადავიდა. 2001 წელს იაპონელმა ვარსკვლავმა „რომას“ შემადგენლობაში იტალიის ჩემპიონის ტიტული მოიგო, საიდანაც „ფიორენტინას“, შემდეგ კი ინგლისურ „ბოლტონ უონდერერსს“ მიაკითხა.

პაპუნა კედია

მაღლობა სიდედრს

კალდერონს ჯიბეში კაპელო და კაკა უზის

მადრიდის „რეალს“ ახალი, რიგით 25-ე პრეზიდენტი ჰყავს. 2 ივლისს მადრიდში არჩევნები გაიმართა და რამონ კალდერონმა გაიმარჯვა — 55 წლის ადვოკატმა უახლოეს მდევარ ხუან პალასიოსს 246 ხმით აჯობა და პრეზიდენტის სავარძელი ჩაიბარა. კასტილიური გრანდის თავკაცს „ასის“ ჟურნალისტები გაესაუბრნენ



— გამარჯვების შემდეგ თავს როგორ გრძნობთ?

— რაღაც ერთი თვის წინ ეს ავანტიურა სიგიჟედ მიმაჩნდა, თუმც შემდეგ ოცნება სინამდვილედ ვაქციეთ და დავამტკიცეთ, რომ რწმენას და დაჟინებულ ბრძოლას ყველაფერი შეუძლია. მაქვს პატივი, განვაცხადო — ჩვენმა საარჩევნო შტაბმა მადრიდის „რეალის“ საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო.

— მომავალ სეზონში ბრაზილიელი კაკა „რეალის“ ფეხბურთელი გახდება?

— კაკა აუცილებლად ითამაშებს „რეალში“. მომიტევეთ, მაგრამ ტრანსფერების შესახებ დაწვრილებით ვერ გესაუბრებით, ეს საქმე ამიერიდან სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს და მწვრთნელ ფაბიო კაპელოს დაევალებათ. ზოგიერთებს ჩემი დაპირებებისა არ სჯერა, თუმცა ბევრ ისეთ ფეხბურთელს მოვიყვანთ გუნდში, რომელთა შეძენა ადრე წარმოუდგენელი ჩანდა...

— თქვენი აზრით, არჩევნებში გამარჯვებისთვის გადამწყვეტი ფაქტორი სატრანსფერო დაპირებები იყო?

— არა, ამ არჩევნების შედეგი რომელიმე სავარაუდო ტრანსფერზე არ იყო დამოკიდებული. დიდი ტრანსფერები „რეალში“ ადრეც იყო და მომავალშიც იქნება. ჩვენი კლუბია იმდენად პრესტიჟული, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თამაში თითქმის ყველა სახელგანთქმულ ფეხბურთელს სურს. ამომრჩეველმა იმ კანდიდატურას მისცა ხმა, რომელიც ჭეშმარიტად „რეალის“ სახე უნდა გახდეს... ჩემ მოწინააღმდეგეს, ვილიარ მირს, ეგონა, რომ ეს არჩევნები პრეზიდენტს კი არ გამოავლენდა, არამედ კლუბის მეპატრონეს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სენიორ ვილიარ მირი „რეალის“ დასაკუთრებას აპირებდა... მან, ვინც ამდენი წელია, ბიზნესში მოღვაწეობს, უნდა იცოდეს, რომ „რეალი“ ოცნებებისა და ადამიანური გრძნობების „საწარმოა“ და ოდენ დიდი ბიზნესით ხალხის გულს ვერ მოიგებ. აქ, უპირველეს ყოვლისა, შენი ადამიანობა და ინ-ჩასებთან სიახლოვეა მთავარი...

— საერთოდ, არჩევნების შესახებ რას იტყოდით?

— ინტერნეტით ხმის მიცემამ პოლემიკა გამოიწვია. პირობას ვიძლევი, რომ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე ამ პრობლემებს მოვაგვარებთ. შევქმნით სპეციალურ კომისიას, რომელიც ამ საკითხის დასარეგულირებლად იმუშავებს. დარწმუნებული ვარ, ამომრჩეველთა უმრავლესობამ მხარი მე დამიჭირა, ამიტომაც მსურს, ყველაფერს ნათელი მოეფინოს. აქედანვე ვაცხადებ — არჩევნებში წაგებულ ყველა კანდიდატს მეგობრულად ვუწვდი ხელს და თანამშრომლობას ვთავაზობ — ერთად ვიმუშაოთ „რეალის“ კეთილდღეობისთვის.

— საარჩევნო კომისიამ ოფიციალურად თქვენი პრეზიდენტად დასახელება დააგვიანა...

— კომისიის ამ გადაწყვეტილების გამო ძალიან ნაწყენი ვარ. კლუბის მავანი დიდჩინოსანი ერთ-ერთ კანდიდატს ბოლომდე არწმუნებდა, თავის ხმები ხუან მიგელ ვილიარ მირის სასარგებლოდ გადაერიცხა, რათა, გაუგებრობა შექმნილიყო და არჩევნები ჩაეშალათ... ვიცი იმ კაცის ვინაობა, ვისაც გარიგებისკენ უბიძგებდნენ და მან ამაზე უარი განაცხადა — ხუან პალასიოსს აქამდეც ვაფასებდი და ამის შემდეგ მარტო ვილიარ მირი რჩება,რომელიც საარჩევნო ურნების გარეთ სასოწარკვეთილი ცდილობს, იმ გამარჯვების მოპოვებას, რაც წესებით ვერ შეძლო. დარწმუნებული ვარ, ხუან პალასიოსს ჩემს წინააღმდეგ შეთქმულებაში აბამდნენ, რადგანაც, როგორც კი პალასიოსი „იტაკა-ვეშელთა“ წინადადება უარყო, მისი ადვოკატი დამიკავშირდა და მაშინვე შემატყობინა არშემდგარი შეთანხმების შესახებ. საარჩევნო კომისიას კი ვურჩევ, უფრო მეტად „რეალზე“ იფიქრონ, ვიდრე ფარულ კომბინაციებზე... თუ არჩევნების შედეგებს გააუქმებენ, აღრაც პრეზიდენტი გვეყოლება, ვერც ტრანსფერებს განვახორციელებთ და, საერთოდ, ცუდ დღეში ჩავვარდებით.

— ელოდებოდით ვილიარ მირის ასეთ რეაქციას? მან განაცხადა, რომ თქვენ უნდა გაჩუმდეთ და ყვირილით ქვეყანა არ უნდა დაანგრიოთ.

— ვილიარ მირმა როგორც კი გაიგო, რომ მარცხდებოდა, გადაწყვიტა, არჩევნები ჩაეშალა. იგი წაგებას არ ეგუება და ამით მადრიდის „რეალს“ საქმეს უფუჭებს. ეს აუცილებლად უნდა იცოდეს ამომრჩეველმა. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ წყალს „რეალის“ ამჟამინდელი დირექტორატის წევრებიც ამღვრევენ, არჩევნების ჩაშლას მოქმედი საბჭოს რამდენიმე წევრიც მხარს უჭერს. არადა, დროის დაკარგვა არ შეიძლება. პრედრაგ მიატოვიჩი „რეალის“ სამომავლო ფეხბურთელებთან უკვე მოლაპარაკებას აწარმოებს. მაგრამ თუ კომისიამ არ დამამტკიცა, ტრანსფერებზე ოცნებაც უნდა დავივიწყოთ. მთელი მონდომებით ვიმუშავებ ამ გუნდის წარმატებისთვის. არჩევნებში მხარდაჭერისთვის კი ყველას მადლობას ვუხდი, ჩემს შტაბს, პრედრაგ მიატოვიჩს, მეუღლეს, ჩემს შვილებს, მეგობრებს და სიდედრსაც...

პრედრაგ მიატოვიჩი ბიჭებს დაერია


სესკ ფაბრეგასი

სანამ იმაზე მოგითხრობდეთ, თუ ვის მიყვანას აპირებს „რეალში“ ახალი პრეზიდენტი რამონ კალდერონი, მადრიდულ გრანდში 2 ივლისს ჩატარებული არჩევნების შედეგებზე მოგახსენებთ. სულ ხუთი კანდიდატი ებრძოდა ერთმანეთს. აქედან კალდერონმა 8 344 ხმით პირველი ადგილი გაინაღდა, პალასიოსმა 8098 ხმა მიიღო, ვილიარ მირმა — 6702, ლორენსო სანსმა და არტურო ბალდასანომ კი, შესაბამისად 2377 და 1581.

რამონ კალდერონი 2002 წლიდან „რეალის“ დირექტორატის წევრია. იგი 1951 წლის 26 მაისს დაიბადა პალენსიაში (კასტილია და ლეონი) და ნავარის უნივერსიტეტი დამთავრა. ჰყავს მეუღლე ტერეზა გალან ოტამენდი და სამი შვილი, ლეტისია, ხაიმე და მარიანა.

ახალი თავკაცი „რეალის“ შინაურ და გარეულ მეტოქეს მძიმე არტილერიით შეუტევს — გუნდის სპორტული დირექტორი მადრიდული გრანდის ექსმოთამაშე პრედრაგ მიატოვიჩი იქნება, ხოლო მწვრთნელად სენიორ კალდერონი ფაბიო კაპელოს დააბრუნებს. დონ ფაბიოს „იუვენტუსთან“ კიდევ ერთი წლით უწევს თანამშრომლობა, თუმც მადრიდელი დიდმოხელე ისე უყოყმანოდ აცხადებს მედიასთან, ტრანსფერების საქმე მიატოვიჩს და კაპელოს მივანდეო, რომ 2006-07-ის სეზონში „რეალის“ მოძღვარი უთუოდ იტალიელი გახდება.

ესპანური გაზეთები კი მომავალ რეალელებზე საინტერესო ცნობებს გვაწვდიან. ქვემოთ მათზე მოგითხრობთ.

სესკ ფაბრეგასი

გასულ კვირას მიატოვიჩი, მადრიდში სტუმრად მყოფ სესკ ფაბრეგასის აგენტ ხოსეა დიასს შეხვდა და არსენალელის „რეალში“ გადაბარგებაზე მოელაპარაკა. როგორც „ასში“ და „მარკაში“ ვკითხულობთ, ფეხბურთელს „რეალთან“ უკვე წინასწარი შეთანხმება აკავშირებს — სესკი მომავალ 5 სეზონს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაატარებს.

დიარა და კითხვისნიშანი ლიონი

მაჰამადუ დიარას „ლიონში“ კონტრაქტით 2009 წლამდე უწევს ყოფნა, თუმცა ფეხბურთელს „რეალში“ გადასვლა სურს, რის შესახებაც უკვე განუცხადა პრედრაგ მიატოვიჩს. „ლიონთან“ არანაირი შეთანხმება ჯერ არ არსებობს და მიატოვიჩიც ფრანგებთან გარიგებისთვის ემზადება.

კაკა: 50 მილიონზე მეტი

კალდერონის სავარაუდო ფავორიტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე სარწმუნო კაკას ვარიანტია. მიატოვიჩი გასულ შაბათს ბრაზილიელი ვარსკვლავის მამას შეხვდა და გაიგო, რომ კაკას სულით და გულით უნდა „რეალში“ თამაში. ახლა მარტო „მილანთან“ შეთანხმების მიღწევაა საჭირო. „კაკა „მილანის“ უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია და ამიტომაც მასთან განშორება ჩვენს გეგმებში არ შედის. თუმცა „რეალი“ თუ 50 მილიონზე მეტს გადაიხდის, ჩვენს ფეხბურთელს ტრანსფერში ხელს არ შევუშლიო“ — უთქვამს რამონ კალდერონთან საუბარში იტალიური კლუბის პატრონ სილვიო ბერლუსკონის.

არიენ რობენი

მიატოვიჩს „ჩელსის“ ფეხბურთელ არიენ რობენთანაც ჰქონია შეთანხმება — ჰოლანდიელი ყაბულსაა 4 სეზონით ითამაშოს „სანტიაგო ბერნაბეუზე“. „რეალის“ ახალი სპორტული დირექტორის „ჩელსისთან“ კარგმა ურთიერთობამ გარიგება უნდა დააჩქაროს. ყოველ შემთხვევაში, ასეთია ესპანური მედიის აზრი.

კვუ ფავორიტი მცველი

კალდერონის, მიატოვიჩისა და კაპელოს სიაში „რომას“ მცველი ერთ-ერთი პირველია. სპორტული დირექტორი თავად ფეხბურთელს დაუკავშირდა და თანხმობა მიიღო. როგორც გაზეთები აცხადებენ, მოლაპარაკებები „რომასთანაც“ წარმატებით მიმდინარეობს.

ლადო ხომერიკი

კაკა

ბერლინის „ოლიმპიაშტადიონმა“ ჩემპიონთა ლიგის 2008 ან 2009 წლის ფინალის მასპინძლობის სურვილი გამოთქვა. მოგეხსენებათ, ამ სტადიონზე უკვე გაიმართა მიმდინარე მუნდიალის რამდენიმე მატჩი, ხოლო 9 ივლისს ფინალიც ჩატარდება.

„ოლიმპიაშტადიონი“ ერთ-ერთი ყველაზე საუკთესოა ევროპაში. იგი 73 ათას ქომაგს იტევს და თავის დროზე მისი აშენება 309 მილიონი დოლარი დაჯდა. სტადიონის მენეჯერ პიტერ ვონ ლობეკს სჯერა, რომ მუნდიალის მატჩებისა და მომავალი ფინალის მაღალ დონეზე მასპინძლობა მას მიზნის მიღწევაში ხელს შეუწყობს.

იგივე სურვილი სხვა ქალაქებმაც გამოთქვეს. ესენია: მილანი, ლონდონი, მოსკოვი, ლისაბონი, პორტუ და რომი. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალს გერმანულმა ქალაქმა ბოლოს 2004 წელს უმასპინძლა. მაშინ გელზენკირხენის „აუფშალკეზე“, რომელსაც ამიერიდან სულ მცირე, 15 წლის მანძილზე ლუდის მწარმოებელი ფირმის „ფელტის“ სახელი ექნება, „პორტუმ“ „მონაკოს“ 3:0 მოუგო.

კოკი კანდელაკი

ჟუნინიომ ბრაზილია გაიხადა

ჟუნინიო პერნამბუკანო ნაკრებს დაემშვიდობა. საფრანგეთთან მეოთხედფინალში დამარცხებული პენტაკამპიონეთა ნახევარმცველი ამიერიდან ეროვნულ გუნდში აღარ ითამაშებს. „ნაკრების მაისურას აღარ ჩავიცვამ. სამწუხაროდ, ჩემი ბოლო მატჩი მარცხიანი გამოდგა. არადა, ძალიან მსურდა ჩემპიონად წასვლა. ვფიქრობ, მე უნდა მომბაძონ სხვა ვეტერანებმაც. დროა, ადგილი ახალგაზრდებს დავუთმოთ“ — განაცხადა ჟუნინიომ.

31 წლის ნახევარმცველი ფრანგული „ლიონის“ მთავარი ფეხბურთელია, მაგრამ ნაკრების ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა. მან იაპონიასთან მატჩში ერთი გოლი გაიტანა, საფრანგეთთან კი სასტარტო თერთმეტში იყო, მაგრამ პარეირამ შეცვალა.

ნაყიდი ცოლი



მარსიო ბორგესი

ბილეფილდის „არმინიას“ ბრაზილიელმა ფეხბურთელმა მარსიო ბორგესმა 10 ათასი ევრო გადაიხადა გატაცებული ცოლის გამოსახსნელად. „გამტაცებლებს 10 ათასი ევრო და ჩემი მაჯის საათი სურდათ. მეც სხვა გზა არ მქონდა, პოლიციაში მისვლას გადახდა ვამჯობინე“ — თქვა ბორგესმა.

ფეხბურთელის მეუღლე ლუსიანე რამდენიმე კვირის განმავლობაში ჰყავდათ დამალული.

მოთამაშეთა ახლობელ-ნათესავების გატაცება ბრაზილიაში ხშირია. 2004-2005 წლებში ხუთი ფეხბურთელის დედა გაიტაცეს, მათ შორის, რეალელი რობინიოსი. მას 41 დღის განმავლობაში მალავდნენ და რობინიოს დედის გათავისუფლება 55 ათასი ევრო დაუჯდა.

კარგი და ცუდი მუხლები



კარგი ამბავი „ნიუკასლისა“ და ინგილსის ნაკრების ქომაგებისთვის — მაიკლ ოუენის ტრავმა არც ისე მძიმე აღმოჩნდა, როგორც ვარაუდობდნენ. შეგახსენებთ, რომ 26 წლის ფორვარდს შვედეთთან მატჩის მეორე წუთზე მუხლის ჯვარედინი მყესები დაუზიანდა. ოუენი უკვე იყო ამერიკაში ცნობილ ექიმ რიჩარდ სტიდმანთან, ვინც ალან შირერს კარიერა გადაურჩინა და ამ კვირაში კიდევ აპირებს ოკეანის გაღმა გამგზავრებას.

თავიდან ისე ჩანდა, რომ ოუენს წლის ბოლომდე მოუწევდა მკურნალობა და მხოლოდ 2007-ში დაიწყებდა ვარჯიშს, მაგრამ ხელმეორე სკანირებამ აჩვენა — ფორვარდი ნოემბერ-დეკემბერშივე შეუდგება ვარჯიშს და 2007-ის დასაწყისში თამაშს შეძლებს.

დევიდ ბექემს კი ექვსი კვირა დასვენება მოუწევს. მას მარჯვენა ფეხის კოჭი და მარცხენა მუხლი სტკივა. იგი, ალბათ, გამოტოვებს ამხანაგურ მატჩს, რომელიც 12 აგვისტოს გაიმართება — ინგლისი საბერძნეთის ნაკრებს ხვდება.

ლივერპულორი ამბავი

ჯიბრილ სისე

კრეიგ ბელამის სასამართლოში სტუმრობა მოუწევს. უელსელი ფორვარდი, რომელიც ერთი კვირის წინ „ბლექბერნიდან“ „ლივერპულში“ გადავიდა, არასრულწლოვანი გოგოს ცემაშია ეჭვმიტანილი. ამბავი კი კარდიფის ერთ-ერთ ღამის კლუბში 5 თებერვალს მოხდა.

ბელამი მარტში დააკავეს მას შემდეგ, რაც გოგომ უჩივლა, მაგრამ თავდებით გაუშვეს. სამხრეთ უელსის პოლიციის პრესატაშემ განაცხადა: „ბელამის ბრალი ოფიციალურად წაუყენეს, ოღონდ ჯერ უცნობია, როდის გაიმართება სასამართლო“.

კიდევ ერთ ლივერპულელს, ჯიბრილ სისეს კი თავისი გაჭირვებია — მას გუნდიდან უშვებენ.

ფრანგმა ფორვარდმა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ჩინეთთან ამხანაგურ მატჩში, ფეხი მოიტეხა და დაახლოებით სამი თვე უქმობა მოუწევს.

რაფაელ ბენეტისს ისედაც არ ეხატებოდა გულზე ფრანგი, რომელიც „ლივერპულში“ ჟერარ ულიემ მიიყვანა, ახლა კი ტრავმირებული რაღაში სჭირდება. ფრანგიც ამიტომ გაბრაზებულა, რაფაელ ბენეტესი გუნდიდან მაგდებსო.

კრეიგ ბელამი

„გავოცდი, როცა რაფამ დამირეკა და მითხრა, უნდა წახვიდე, შენი ადგილი აქ არ არისო. მე კი წასვლა არ მსურს. ალბათ, „მარსელში“ გადავალ ივჯარით, მაგრამ აუცილებლად დავბრუნდები „ლივერპულში“. მინდა, ლივერპულელ ფანებს დავუმტკიცო, რომ ჩამოსაწერი ფეხბურთელი არ ვარ. ისინი ხომ პირველი ტრავმის დროსაც მხარში მედგნენ“ — თქვა სისემ.

იეროგლიფები ოსიმს ჩააბარეს

იაპონიის ნაკრების მწვრთნელი სერბი ივიცა ოსიმი გახდა. იგი ზიკოს შეცვლის, ვისი თავკაცობითაც გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე მერვედფინალში ვერ გავიდა.

ოსიმს კონტრაქტი აკავშირებდა იაპონიის ჯეი-ლიგის კლუბ „ჯეფ იუნაიტედთან“, რომელიც იანვარში უმთავრდებოდა, მაგრამ იაპონიის ფეხბურთის ფედერაციამ კონტრაქტი გააწყვეტინა და ნაკრები ჩააბარა.

„ჩვენ გვსურდა, მწვრთნელი წლის ბოლომდე დაგეტოვებინა, მაგრამ დაძალება და კუთხეში შემწყვდევა გამოვიდოდა — განაცხადა „ჯეფ იუნაიტედის“ პრეზიდენტმა ტაკაჰირო იოდოგავამ — მწვრთნელმა თავად გადაწყვიტა ნაკრებში გადასვლა და ამაში ხელს ვერ შევუშლიდით“.

ივიცა ოსიმი და იაპონიის ფეხბურთის ფედერაცია გარიგებას ამ თვის დასაწყისში გააფორმებენ.

შეგახსენებთ, რომ ოსიმი თავკაცობდა იუგოსლავიის ნაკრებს მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატზე, სადაც მეოთხედფინალში დამარცხდნენ.

65 წლის სარაეოველი 2003-ში მივიდა „ჯეფ იუნაიტედში“ და გასულ სეზონში ჩემპიონი გახდა. რაც შეეხება ზიკოს, მან ჯერ კიდევ გერმანია-2006-ის დაწყებამდე თქვა, მუნდიალის შემდეგ წავალო.

წითელი ბარათი ენის წაგრძელებისთვის

მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებმა „ოლიმპიაშტადიონის“ დიქტორი სამსახურიდან დაითხოვეს. მიზეზი: გერმანია-არგენტინის მატჩში პენალტების სერიისას მან თვისტომ ქომაგებს სთხოვა, ნაკრებისთვის მხარი დაეჭირათ, რაც ფიფას წესების მიხედვით აკრძალულია. დიქტორი ნეიტრალური უნდა იყოს.

ფიფას პრესმდივანმა მარკუს სიგლერმა ბრძანა: „ჩვენ იძულებულნი გავხდით, ეს გადაწყვეტილება მიგვეღო, რადგან მსგავსი გამოხდომა სამართლიანი თამაშის წესებს ეწინააღმდეგება. დიქტორი ნამატჩევს დაუყოვნებლივ შეცვალეს“.

„ოლიმპიაშტადიონის“ ჩინოვნიკმა კი განაცხადა: „ამიერიდან მას მიკროფონი აღარ ეღირსება, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან საკმაო ხანს მუშაობდა“.

მაშ ასე, 9 ივლისს, ფინალში, „ოლიმპიაშტადიონზე“ სხვა დიქტორი ილაქლაქებს.

AFP

AFP



AFP

AFP



AFP

„მსოფლიო ევროპელებს!“ აბა, სამხრეთამერიკელი აღარავინ დარჩა მუნდიალზე, აზია-აფრიკელზე ხომ ლაპარაკიც არაა. ყველაზე ბობოლა ოკეანგაღმელები — ბრაზილია და არგენტინა საფრანგეთ-გერმანიამ გაუშვეს უკან, ამერიკაში და ისინიც თავჩაქინდრულები წავიდნენ. თითქოს იხტიბარს არ იტეხს არგენტინელთა ყოფილი თავკაცი ხოსე პეკერმანი, ხელსაც უქნევს დამხვდურ ქომაგობას, მაგრამ არა გვგონია, ტრიუმფალური სვლა მოუწყონ მას და მის ყოფილ შეგირდებს.

გერმანიას მეოთხედფინალიდან დაემშვიდობნენ ბრაზილიელებიც, ოღონდ მათ გავარდნას სამშობლოში გაცილებით მტკივნეულად აღიქვამენ. ბრაზილიელთა კაპიტანი, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი კაფუ ალბათ ვეღარ შეავლებს ხელს ამ ჯადოსნურ თასს. თასის 1994 წელს მომპოვებელი მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა კი ასე შუაგაკეცილი გაზეთებიდანაც ვერ უსწორებს თვალს გულგატეხილ ბრაზილიას.

„შალკეს“ ბრაზილიაში დაბადებული გერმანულპასპორტიანი თავდამსხმელი კევინ კურანი კი არსადაც არ მიდის. მართალია, კლინსმანის 23-კაციან გუნდში ვერ მოხვდა, მაგრამ ის მაინც შინ, გერმანიაშია, გელზენკირხენში, ოღონდ ტრიბუნაზე და ურუგვაელ დარიო როდრიგესთან ერთად ინგლის-პორტუგალიას უყურებს.

სარბიელი ჯ/პ ჯეკპოტ

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში						
		4 ივლისი						
23:00	414	გერმანია-იტალია	2.35	2.90	3.10	1.29	1.33	1.49
		5 ივლისი						
23:00	415	საფრანგეთი-პორტუგალია	2.15	2.80	3.65	1.21	1.35	1.58
		რუსეთი						
		6 ივლისი						
16:00	840	ცსკა-ტორპედო	1.30	4.50	9.30	1.00	1.14	3.03
12:00	841	ენერგია-კრილია	2.20	2.90	3.20	1.25	1.30	1.52
16:00	842	ლოკომოტივი-სატურნი	1.75	3.20	4.40	1.13	1.25	1.85
16:00	843	ნალჩიკი-როსტოვი	2.15	3.00	3.00	1.25	1.25	1.50
16:00	844	ზენიტი-დინამო	1.45	3.80	6.00	1.04	1.16	2.32
		7 ივლისი						
16:00	845	სპარტაკი-ამკარი	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46
16:00	846	რუბინი-ტომსკი	1.65	3.20	5.00	1.08	1.24	1.95
		ფინეთი						
		6 ივლისი						
19:30	864	ჰაკა-კუოპიო	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
19:30	865	ჰელსინკი-ჰონკა	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
19:30	866	მარიეჰამნი-ტურკუ	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
21:00	867	ვპს-მიუპა	3.60	3.30	1.90	1.72	1.24	1.20
		ირლანდია						
		4 ივლისი						
21:00	868	დუბლინი-ლონეფორდი	2.05	3.00	3.20	1.21	1.24	1.54
		აშშ						
		4 ივლისი						
23:45	875	დალასი-ვაშინგტონი	2.25	3.00	2.80	1.28	1.24	1.44
23:45	876	ჩიკაგო-კანზასი	2.15	3.00	2.90	1.25	1.23	1.47
23:45	877	ჰიუსტონი-კოლამბუსი	1.75	3.20	3.90	1.13	1.20	1.75
23:45	878	კოლორადო-ნიუ ინგლენდი	2.20	3.00	2.90	1.26	1.25	1.47
23:45	879	სოლტ ლეიკი-ჩიკასი	2.35	3.00	2.65	1.31	1.24	1.40
23:45	880	ლოს ანჯელესი-ნიუ იორკი	2.25	3.00	2.90	1.28	1.26	1.47
		ირლანდია. თასი						
		4 ივლისი						
21:00	794	დერი სიტი-დროგედა	2.20	3.00	3.00	1.26	1.26	1.50
21:00	795	ლიმერიკი-შემროკი	2.60	2.90	2.50	1.37	1.27	1.34
22:45	796	ბოჰემიანი-კობ რამბლერსი	1.60	3.40	4.50	1.08	1.18	1.93
		5 ივლისი						
23:00	797	შელბურნი-ფინ ჰერპსი	1.30	4.20	9.00	1.00	1.13	2.86
		ჩოგბურთი.კაცები						
		ბიელა. თიხნარი						
		4 ივლისი						
13:00	902	ვოლანდრი-ლორენცი			1.15			4.00
13:00	903	დანიელი-ვასაიო არგუეიო			1.70			1.90
13:00	904	დელ პოტრო-მოური			1.30			2.80
13:00	905	კალერი-მ გონსალესი			1.12			4.00
13:00	906	მარინი-ნ ლაპენტი			1.70			1.90
13:00	907	ი მინარი-ბაარო			1.30			2.80
13:00	908	როიტმანი-ზიბი			1.40			2.45
13:00	909	სარეტა-ეშეერი			1.70			1.90
13:00	910	სტარაჩე-გალვანი			1.55			2.00
13:00	911	ტუკსარი-ბოლერი			1.70			1.85
13:00	912	ხაიეკი-მონტანესი			1.55			2.10
13:00	913	ო ერნანდესი-კიპოლა			1.60			2.00

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10414	გერმანია-იტალია	2.70	1.90	3.40	1.11	1.50	1.21
10415	საფრანგეთი-პორტუგალია	2.45	1.90	3.90	1.07	1.50	1.27

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11414	გერმანია-იტალია	3.50	10.00	20.00	4.50	4.40	5.30	20.00	10.00	4.20
11415	საფრანგეთი-პორტუგალია	3.20	10.00	20.00	4.20	4.40	5.60	20:00	10.00	4.80

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანბრად	II-ში
15414	გერმანია-იტალია	3.00	2.80	2.00
15415	საფრანგეთი-პორტუგალია	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16414	გერმანია-იტალია	1.55	2.10
16415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.50	2.30

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

17414	გერმანია-იტალია	1.85	1.95
17415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.85	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12414	გერმანია-იტალია	1.50	2.40
12415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.50	2.40

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

13414	გერმანია-იტალია	1.75	1.80
13415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.75	1.80

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წაგებულად ჩაითვლება)

14414	გერმანია-იტალია	1.70	1.85
14415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.70	1.85

ვინ დაიწყებს თამაშს

19414	გერმანია-იტალია	1.85	1.85
19415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.85	1.85

ვინ მოიგებს პირველ გაცვლას (ყ/წ) (ძირ. დრო)

21414	გერმანია-იტალია	1.85	10.00	1.75
21415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.85	10.00	1.75

ვინ მოიგებს პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

20414	გერმანია-იტალია	1.75	1.85
20415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.75	1.85

კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

22414	გერმანია-იტალია	1.70	2.00
22415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.70	2.00

შემდეგ ეტაპზე გასვლა

18414	გერმანია-იტალია	1.55	2.30
18415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.55	2.30

იძნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

23414	გერმანია-იტალია	2.80	1.32
23415	საფრანგეთი-პორტუგალია	2.80	1.32

ვინ მოაწვდის პირველ აუტს

24414	გერმანია-იტალია	1.80	1.80
24415	საფრანგეთი-პორტუგალია	1.80	1.80

გაიხსნა ჯროსოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



ტოპი ავად გამხდარა...

მართალია, 16 აგვისტომდე საქართველოს ნაკრებს თამაში არ აქვს, მაგრამ კლაუს ტოპმიოლერთან სასაუბროს რა გამოლევდა. მუნდიალი, ნაკრების ფანკლუბის პრეზენტაცია — გუშინ გვსურდა ჰერ კლაუსთან ამ თემებზე შეხმიანება, თუმცა ჩვენი ეროვნული გუნდის გერმანელი თავკაცი ავად ყოფილა.

ტოპმიოლერის მეუღლემ, ქალბატონმა როზიმ გვითხრა, სამწუხაროდ, კლაუსს ვირუსი შეეყარა და ყელი ისე სტკივა, ლაპარაკიც არ შეუძლიაო. შეუძლოდაა თავად ფრაუ როზიც...

ნინო სილაგაძე

მახარაძის იჩქარე ნელა

ზამთრამდე თავისუფალი ვარ



ბადრი ჯეელაძის ფოტო

წინა ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი წარმატებული მწვრთნელი თემურ მახარაძე, რომელიც „ზესტაფონს“ ლამის სეზონის ფინიშზე დაშორდა, დღემდე უქმადაა და არც უახლოეს მომავალში აპირებს საქმიანობის განახლებას...

— ვისვენებ, ოჯახთან ერთად ვარ და სამუშაოს დაწყებას არ ვჩქარობ. გადავწყვიტე, კიდევ რამდენიმე თვე შინ ვიყო, სეზონის დაწყებამდე კი არც ერთ გუნდში არ წავალ. დავაკვირდები ქართულ ფეხბურთში განვითარებულ მოვლენებს და იმედი მაქვს, ზამთრიდან საქმეს შევუდგები. ჯერჯერობით კი ვისვენებ და მსოფლიოს ჩემპიონატს ვუყურებ — გვითხრა თემურ მახარაძემ, რომელსაც „ზესტაფონის“ შემდეგ რამდენიმე შეთავაზება ჰქონდა, მათ შორის უმაღლესი ლიგის დებიუტანტ საჩხერის „ჩიხურასგან“, მაგრამ, როგორც გამოჩნდა, დღემდე თავისუფალია.

ჩვენ ერთი გუნდი ვართ

საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფან-ჯგუფში გასანევრიანებელი აპლიკაცია

სახელი: .....

გვარი: .....

დაბადების თარიღი: .....

ელფოსტა: .....

ელ-ფოსტა: .....

სარგებელი

საინფორმაციო მხარდაჭერა



ახალი სერია ძველი სურათით: ფრაიბურგი და ორი ქართველი

ოთარ ხიზანეიშვილი ჩემპიონების ქვეყნიდან ფრანგების ჩემპიონობაზე...

მეორე ბუნდესლიგის „ფრაიბურგმა“ ახალი სეზონისთვის მზადება ორშაბათს ხუთი ახალწვეულით განაახლა. ალექსანდრე იაშვილისა და ოთარ ხიზანეიშვილის კლუბში მნიშვნელოვანი სიახლე სხვა არაფერია. არცთუ სახელიანი უცხოელების შეძენის გარდა, „ფრაიბურგმა“ სამი ისეთი ფეხბურთელი დაითხოვა, რომლებმაც წინა სეზონი მეტწილად სათადარიგოთა შორის გაატარეს.

წინა სეზონი ჩაუვარდა ოთარ ხიზანეიშვილსაც, ვინც ზაფხულში მუხლის ტრავმა მიიღო და მოედანს მხოლოდ სეზონის ბოლოს დაუბრუნდა. ოთარმა ერთი მატჩი ეროვნულ გუნდშიც ითამაშა ახალ ზელანდიასთან, თუმც მერე ფეხი ისევ იტკინა და პარაგვაისთან გუნდს ვეღარ დაეხმარა. ახლა კი „ფრაიბურგთან“ ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს...

— სანაკრებო შეკრებაზე ახალგამოჯანმრთელებული ვიყავი, თუმცა ერთი მატჩი მაინც ჩავატარე, შემდეგ კი ტრავმა გამიმიზეზდა, ფეხმა მძიმე გრუნტს და დატვირთვებს ვეღარ გაუძლო — გვითხრა ოთარ ხიზანეიშვილმა — მერე დასვენების საშუალება მომეცა, ვიმკურნალე და ახლა უკვე აღარაფერი მაწუხებს, კარგად ვარ და აღარც დატვირთვებს ვერიდები. შეკრება ორშაბათს ფრაიბურგში დავიწყეთ. ხუთშაბათამდე აქვე დავრჩებით და მსუბუქად ვივარჯიშებთ, ხოლო შემდეგ ფრაიბურგიდან 40 კილომეტრში ათდღიან შეკრებაზე გადავალთ. ჩემი ფიზიკური მზადყოფნის ამბავიც იქ გამოჩნდება. ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა და ექიმებიც მაიმედებენ, ძველი ტრავმა აღარ შეგაწუხებსო.

— გუნდში ბევრი სიახლეა?

— მნიშვნელოვანი არაფერი. სამი ფეხბურთელი წავიდა, თუმც ისინი ძირითად შემადგენლობაში იშვიათად თამაშობდნენ. ახლები კი ხუთნი არიან, სამი აფრიკელია. მოკლედ, წინა სეზონის შემადგენლობა თითქმის შევინარჩუნეთ...

— და ისევ ბუნდესლიგაში დასაბრუნებლად იბრძოლებთ?

— რა თქმა უნდა, მეორე ბუნდესლიგაში „ფრაიბურგს“ სხვა მიზანი არც არასდროს ჰქონია. წინა სეზონი კი ჩაგვივარდა, მაგრამ მომავალში ალბათ მაინც გადავალთ ბუნდესლიგაში. არადა, ცოტა რომ გაგვმართლებოდა, ახლა უკვე ბუნდესლიგაში ვიქნებოდით.

— გერმანიაში რა ხდება, დიდი ამბები იქნება...

— ნუ მკითხავთ... მთელი გერმანია ისე თავაწეული დადის, გეგონება, უკვე მსოფლიოს ჩემპიონები არიანო. მე კი მგონია, რომ ჩემპიონი საფრანგეთი გახდება.

— მეოთხედფინალამდეც ასე ფიქრობდი?

— როცა საჭირო იყო, საფრანგეთმა სწორედ მაშინ მოუმატა და ალბათ, ბევრი დამეთანხმება, რომ ბრაზილიას, ვისაც ძალიან ბევრი ფავორიტად თვლიდა, ორი თავით აჯობა. მეტსაც ვიტყვი, ფრანგებმა ბრაზილიელები აშკარად დაჩაგრეს, გამარჯვების შანსიც არ დაუტოვეს.

— გერმანიის ჩემპიონობისა არ გჯერა?

— არა, მაგრამ ფრაიბურგში ჩამოსულს გუნდის მასაჟისტმა სალამის ნაცვლად პირველად რა შემომძახა, არ გაინტერესებთ? კეთილი იყოს შენი ჩამოსვლა ჩემპიონების ქვეყანაშიო. რა ვიცი, გერმანიას მართლაც ძალიან ძლიერი თავდასხმა ჰყავს, მაგრამ დაცვის საქმე მთლად კარგად ვერ აქვს. კლინსმანიც გუნდს ისე ათამაშებს, რომ ბურთს დაცვას მაქსიმალურად არიდებს. თუმცა გერმანიას ახლა დაცვით განთქმულ იტალიასთან თამაში მოუწევს, სადაც უფრო კარგად გამოჩნდება, მთლიანობაში როგორი გუნდია. გერმანიამ იტალიის დაცვას თუ აჯობა, ჩემპიონობის მართლაც უდიდესი შანსი ექნება...

იაშვილი ბოლოამდე დარჩება

ალექსანდრე იაშვილმა, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ისევ „ფრაიბურგში“ დარჩენა გადაწყვიტა. მას კლუბთან კონტრაქტი მომავალი სეზონის ბოლოს უმთავრდება და იქამდე „ფრაიბურგიდან“, ალბათ, არსად წავა.

არადა, წინა სეზონის შემდეგ, როცა „ფრაიბურგს“ ბუნდესლიგაში დაბრუნების იმედი გადაეწურა, ჩვენიანი ფორვარდი კლუბის გამოცვლაზე ალაპარაკდა. როგორც ვიცით, ალექსანდრე იაშვილს ბუნდესლიგის რამდენიმე კლუბისგან ჰქონდა წინადადებები, თუმცა მან ლამის უკვე მშობლიური კლუბი მაინც არ დატოვა.

აქამდე იაშვილმა „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი სამჯერ გაგრძელა და ამ კლუბის ერთგვარ სიმბოლოდაც კი ითვლება. თანაც შარშან ზაფხულს ის „ფრაიბურგის“ კაპიტნად აირჩიეს და მთელ ქალაქშიც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს.

როგორც ოთარ ხიზანეიშვილმა გვითხრა, „ფრაიბურგი“, რა თქმა უნდა, წლეულსაც ბუნდესლიგის საგზურისთვის იბრძოლებს, საამსაქმოდ კი კლუბის უფროსობას ყველაზე მეტად სწორედ გამოცდილი იაშვილის ეიმედება. რა იქნება მომავალ ზაფხულს, ვნახოთ...

თუ „ფრაიბურგმა“ მიზანს ამ ჯერზე მაინც მიაღწია, ჩვენიან თავდამსხმელს, ვფიქრობთ, ერთხელაც მოუწევს კლუბთან კონტრაქტის გაგრძელება და თუ „ფრაიბურგი“ მეორე ბუნდესლიგაში დარჩა, სავარაუდოდ, იაშვილს მართლაც ახალ გუნდში ვნახავთ.

ძობა ინასარიძე

ბადრი ჯეთელიძის ფოტო

ლევან შავგულიძე

სიონი ფურცლებს ელის

ლევან შავგულიძე კი ჩივის

ბოლნისის „სიონს“ ისტორიული მატჩი კარს მოადგა — 11 ივლისს კახა ცხადაძის გუნდი აზერბაიჯანულ „ბაკის“ შეხვდება ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე. ყირიმული შეკრებიდან ჩამოსვლის შემდეგ „სიონმა“ ორი დღე დაისვენა და გუშინ განაახლა მზადება — რატევანში ორჯერად ვარჯიშებს შეუდგა.

რა სატრანსფერო სიახლეებია კლუბში? მნიშვნელოვანი არაფერი. სამი კამერუნელი ლეგიონერიდან ჯერ არცერთთან არ გაფორმებულა კონტრაქტი, რადგან „სიონი“ მათი სატრანსფერო ფურცლის ჩამოსვლას ელის.

„უკვე გადაწყვეტილია, რომ სამივე კამერუნელს დავიმატებთ. სავარაუდოდ, მათ თითოწლიანი კონტრაქტები გაუფორმდებათ. 5 ივლისს კი უეფაში განაცხადს გავაგზავნით. ძალიან გვინდოდა ნახევარმცველ ლევან შავგულიძის დამატება, მაგრამ „ზესტაფონმა“ ცივი უარი გვითხრა. არადა, ამ ფეხბურთელს ერთი წელია, ხელფასი არ აუღია „ზესტაფონში“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ჩივილს აპირებს“ — გვითხრა „სიონის“ გენერალურმა მენეჯერმა ჯემალ ჭიპაშვილმა.

ბოლნისელები 11 ივლისამდე ქართულ ფრონტზეც გაიჭრებიან და ჩვენი ჩემპიონატის ფეხბურთელების დამატებას ეცდებიან. რამდენიმე მათგანთან მიდის მოლაპარაკებები და ვნახოთ, შედეგი როგორი იქნება.

აქვე გეტყვით, რომ „სიონმა“ ნახევარმცველი გია თოდუა დაიწუნა, რომელმაც ქვემოქართლელთა გუნდში ცოტა ხანს ივარჯიშა.

ილია ნანობაშვილი

ისევ ის თელავი

კახელებმა ლოკომოტივი გააჩერეს

თელავის „კახეთი“ წინა სეზონში საშუალო დონის გუნდი იყო, სტუმრად კი აგებდა, მაგრამ „ვივი ჩოხელზე“ ლიდერების გარდა ყველას ერეოდა და გავარდნის საფრთხე სერიოზულად არც დამუქრებია. სავარაუდოდ, კახელებს ახალ სეზონშიც ასეთი გაქანების გუნდი ეყოლებათ.

„ისევ გამგეობა გვაფინანსებს. რაც წინა წელს გვქონდა, ახლაც იგივე პირობებია. შემადგენლობაც დიდად არ შეცვლილა, ადგილობრივი კადრებით მოგვიწევს ფონს გასვლა. მიხეილ სოსელიას გარდა, „კახეთში“ სულ თელაველები არიან“ — გვითხრა „კახეთის“ თავკაცმა ჯემალ მახარაშვილმა.

ეს ახლა, მაგრამ ჩემპიონატის დაწყებამდე დაახლოებით სამი კვირაა დარჩენილი და „კახეთს“ „მომცრო“ ტრანსფერების იმედი აქვს. მახარაშვილის ცნობითვე, თელაველებს მეკარე გიორგი სომხიშვილის გადაბირება სურთ და ეს საკითხი ამ დღეებში გადაწყდება.

„კახეთი“ თელავში ვარჯიშობს, თუმცა არაა გამორიცხული, გრიგოლეთში წავიდეს შეკრებაზე, მანამდე კი კახელებმა თბილისში გამართეს ამხანაგური მატჩი — „ლოკომოტივს“ 2:0 მოუგეს. გოლები ლუკა ტეტიაშვილმა და ვასილ არუდაშვილმა გაიტანეს.

ილია ნანობაშვილი

ადრე თუ მარადონა იყო, ახლა ზიდანია

მას მთელმა საფრანგეთმა უნდა დაუჩოქოს



ალექს ციცილიანის ფოტო

მიმდინარე მუნდიალის შესახებ აზრის გამოთქმა ნოდარ ხიზანიშვილს ვთხოვეთ, თბილისის „დინამოს“ ყოფილ მცველს, ვისაც რამდენჯერმე საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც უთამაშია. ხიზანიშვილის პროგნოზი იქითკენ იხრება, რომ 9 ივლისს მსოფლიო თასის ფინალში ერთმანეთს გერმანია და საფრანგეთი შეხვდებიან...

— სადაცაა, ჩემპიონატი დამთავრდება — რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— ეს მსოფლიოს ჩემპიონატი მომწონს, რადგან მართლა ფეხბურთს ვუყურებ და სიამოვნებას ვიღებ. ჩემპიონატის პიკი კი საფრანგეთი — ბრაზილია იყო.

— საფრანგეთ — პორტუგალიის წყვილში ფავორიტად ვის მიიჩნევთ და რას იტყოდით პორტუგალიელთა ბრაზილიელ მწვრთნელ ლუიშ ფილიპე სკოლარის ფაქტორზე?

— სკოლარის ფაქტორი დიდ როლს ასრულებს, მაგრამ უკეთესი შემსრულებლები საფრანგეთს ჰყავს და ფავორიტიც საფრანგეთი უნდა იყოს.

— მეორე ნახევარფინალურ წყვილში ვის მიიჩნევთ ფავორიტად?

— გერმანიის ნაკრებს ადრე უფრო მეტი მაღალი კლასის ფეხბურთელი ჰყავდა, მსოფლიოს ჩემპიონატებს კი ვარსკვლავები იგებენ. მიუხედავად ამისა, გერმანიას შეუძლია ფინალში გასვლა.

— ამას რომ ამბობთ, ალბათ იმასაც ითვალისწინებთ, რომ პორტუგალიის ნაკრებს ცენტრფორვარდის პოზიციაზე პრობლემები აქვს...

— თანამედროვე ფეხბურთში თითქმის ყველა ამპლუის ფეხბურთელი გოლის გამტანია და პორტუგალიის ნაკრებში ცენტრფორვარდის ფაქტორს დიდ მნიშვნელობას არ მივანიჭებდი. პორტუგალია საფრანგეთისთვის სუსტი მეტოქე ნამდვილად არ იქნება.

— ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი მატჩიღა დარჩა — რაც აქამდე ნახეთ, იმის გათვალისწინებით, ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ვის მიიჩნევთ?

— რა თქმა უნდა, ზინედინ ზიდანს. ჩემპიონატის პირველ მატჩებში ის ვერ ბრწყინავდა, მაგრამ როცა ყველაზე უფრო იყო საჭირო, მაშინ დაამტკიცა თავისი კლასი. ზიდანი იმდენად დიდი ფეხბურთელია, რომ, ვფიქრობ, მას მთელმა საფრანგეთმა უნდა დაუჩოქოს და თხოვოს, ფეხბურთიდან და ნაკრებიდან არ წავიდეს. სხვა საქმეა, რამდენად აწყობს ეს საქართველოს ნაკრებს — საფრანგეთი ხომ მომავალ შესარჩევ ციკლში ჩვენი მეტოქეა.

— ყოფილი მცველი ხართ და, ამ ჩემპიონატზე მოთამაშე მცველთაგან ვის გამოარჩევთ?

— ყველაზე უფრო ფაბიო კანავარო მომწონს, გამოვარჩევდი ფილიპ ლამსაც, ბრწყინვალედ ითამაშა რიო ფერდინანდმა. გაწბილებული დავრჩი ბრაზილიის ნაკრების დაცვით — ბევრად მეტს მოველოდი ლუსიოსგან.

— მსაჯობაზე რა აზრის ხართ?

— მსაჯები ძალიან ბევრ შეცდომას უშვებენ. ამას, რა თქმა უნდა, განგებ არ აკეთებენ, მაგრამ ფაქტია, რომ მსაჯები ბევრს სცოდავენ. პორტუგალია — ინგლისი ავიღოთ — უეინ რუნი ნამდვილად არ იყო გასაძევებელი.

— ყველაზე უფრო რომელი გუნდი მოგეწონათ?

— ყველაზე რაციონალურ და გამართულ ფეხბურთს გერმანია თამაშობს. ძალიან კარგად ითამაშა საფრანგეთმა ბრაზილიასთან, თუმც ეს ეპიზოდური იყო, გერმანია კი სისტემურად თამაშობს ასეთ ფეხბურთს და სოლიდურად გამოიყურება. ამიტომაც მგონია, რომ ფინალში საფრანგეთი და გერმანია ითამაშებენ.

— ახალი და უცხო ამ ჩემპიონატში ვერაფერი აღმოაჩინეთ?

— ახალი და განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. სენსაციები არ მომხდარა, მაგრამ კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ დიდ გუნდებთან ბრძოლა თითქმის ყველა გუნდს შეუძლია, დონე თანაბრდება და ეს ჩვენთვის, საქართველოს ნაკრებისთვის დამატებითი სტიმული უნდა იყოს. ბრძოლის ხარჯზე შესაძლებელია ფონს გასვლა, მაგრამ ინდივიდუალიზმი და კლასი, ანუ ის, რაც ზიდანმა გააკეთა ბრაზილიასთან, მაინც ყველაფერს წყვეტს. ადრე თუ დიეგო მარადონა იყო, ასეთი განზომილების ფეხბურთელი ახლა ზიდანია.

დავით თავართქილაძე

ბურკაძეს დილას უმზადებენ

გორის „დილა“ ხვალ შეიკრიბება და ვარჯიშს დაიწყებს, მაგრამ როგორი შემადგენლობით და რომელი მწვრთნელით, ეს ჯერაც არაა გადაწყვეტილი. გუნდის თავკაცი მალხაზ ლაცაბიძე „დილადან“ წავიდა და აგარის „მეშაქრეს“ გაწვრთნის.

გორში რამდენიმე მწვრთნელის კანდიდატურაზე ლაპარაკობენ, მაგრამ, სავარაუდოდ, გუნდს რევაზ ბურკაძე ჩაიბარებს — გეხსომებათ, იგი წინა სეზონში ქუთაისის „ტორპედოს“ თავკაცობდა.

და ფეხბურთელები? „დილას“ ხელმძღვანელობას სასურველი მოთამაშეების სია ჩამოწერილი აქვს და იმასღა ელიან, ვინ გამოცხადდება ხვალინდელ შეკრებაზე...

ლუკა თალაკვაძე

მარცვალაძე და იმედაშვილი ავსტრიაში

ალადაშვილი დემიანენკომ და ეშჩენკომ დატოვეს

გუშინ კიევის „დინამო“ ავსტრიაში გაემგზავრა შეკრებაზე და 24 ფეხბურთელს შორის დავით იმედაშვილი და ოთარ მარცვალაძეც არიან. რაც შეეხება კახა ალადაშვილს, იგი კიეველთა თავკაცმა ანატოლი დემიანენკომ ავსტრიაში არ წაიყვანა. არადა, კახა წინა, შვეიცარიულ შეკრებაზე ძირითად გუნდთან ერთად იყო და ტესტ-მატჩებშიც ითამაშა.

დემიანენკომ ინტერვიუში ქართველი ლეგიონერებიც ახსენა: „ალადაშვილის გარდა, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი დავტოვე კიევში. მათი ბედი მათივე ხელშია. ჩვენ შანსს ყველას ვაძლევთ და ვნახოთ, როგორ გამოაჩენენ შესაძლებლობებს. ალადაშვილის პოზიციაზე ეშჩენკო თამაშობს და თავადაც გესმით, ახალწვეულმა ძირითადში თამაში რომ დაიმსახუროს, ძალიან ბევრი უნდა იმუშაოს. იგივე ეხება დავით იმედაშვილს, რომელიც ავსტრიაში წავიყვანეთ — ის გასინჯვაზეა და კიდევ ვაკვირდებით.“

კიევის „დინამო“ ავსტრიაში 15 ივლისამდე დარჩება და ოთხ საკონტროლო შეხვედრას გამართავს, ერთ-ერთ მეტოქედ კი ფრანგული „ნანტი“ ეყოლება.

ილია ნანობაშვილი

დვალის დუბლი და ნიგერიელი

ავსტრიაში თბილისის „დინამომ“ ინტერტოტოზე „რიდთან“ შეხვედრის შემდეგ კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა — კვირას ადგილობრივ „ფონსდორფს“ გაეჯიბრა და 3:0 იმარჯვა. პირველ ტაიმში დუბლი ჯაბა დვალმა შეასრულა. მან თავისიანები მე-14 წუთზე დააწინაურა, ტაიმის ბოლოსკენ კი ლევან ხმალაძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტიც უნაკლოდ შეასრულა.

შესვენების შემდეგ მწვრთნელმა კახა კაჭარავამ თითქმის მთელი შემადგენლობა შეცვალა და ის ფეხბურთელებიც დატვირთა, წინა დღით „რიდთან“ რომ ითამაშეს. მესამე გოლი კი მატჩი ბოლოს მიხეილ ხუციშვილმა გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ კვირას „ფონსდორფი“ დაარსების 85 წლის იუბილეს აღნიშნავდა და სათამაშოდ „დინამო“ მიიწვია.

თბილისელთაგან სხვა სიახლე ის არის, რომ დღეს-ხვალ „დინამოს“ ერთი ნიგერიელი ფორვარდი უნდა შეუერთდეს, რომელიც გუნდს თბილისშიც ჩამოჰყვება. შინ დაბრუნებამდე კი „დინამო“ დღეს და ხვალ კიდევ ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს.

ლუკა თალაკვაძე

ამერმა ჩეხეთი ჩაამთავრა

ჩეხეთში, რუბნიცეში მყოფმა თბილისის „ამერმა“ მეორე საკონტროლო მატჩი ითამაშა — ჩეხეთის პირველლიგელ ჟიჟკოვის „ვიქტორიასთან“ შეხვედრა 2:2 დასრულდა.

„ამერმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ქვაჩახია, მჭედლიშვილი (კედელაშვილი), დავითნიძე, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, დოლიძე (სილაგავა), გ. ჯელაძე, გაბისკირია (ბოლქვაძე), დეკანოსიძე (დობროვოლსკი), დავითაშვილი (ტატანაშვილი), სევასტოპულო (წინამძღვრიშვილი).*

მატჩის დასაწყისში „ამერს“ ორჯერ ჰქონდა საგოლე შანსი — დავით სევასტოპულო მეკარესთან პირისპირ ორჯერ გავიდა, მაგრამ ორივეჯერ უშედეგოდ.

ჟიჟკოველები 11-მეტრიანით დაწინაურდნენ, გამთანაბრებელი კი დავითნიძე-ჯელაძე-დავითაშვილის კომბინაციის შემდეგ გიორგი დეკანოსიძემ შეაგდო ეფექტური დარტყმით.

მეორე ტაიმში სევასტოპულომ ნავსი გატეხა — დეკანოსიძის პასით აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ და ამერელები დაწინაურდნენ, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს — ხელოვნური თამაშგარეს შექმნა სცადეს, მსაჯმა კი ოფსაიდი არ დააფიქსირა და ჟიჟკოველებმაც ამით ისარგებლეს.

„ამერი“ თბილისში დღეს დაბრუნდება.

დავით თავგართაძილაძე

ამერი, ბანანცი, ლუქსემბურგი და ბულგარეთი

თბილისის „ამერს“ სომხურ „ბანანცთან“ საუეფასთასო მატჩი კარს მოადგა.

გეცოდინებათ, პირველი მატჩი 13 ივლისს „მიხეილ მესხზე“ გაიმართება, საპასუხო კი 27 ივლისს ერევანში.

თბილისურ შეხვედრას ლუქსემბურგელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება: არბიტრი ალბერტ ტუსანი იქნება, ლაინსმენები — ლუკ ნობერი და კრისტიან ჰოლტგენი, ხოლო მეოთხე მსაჯი ანტონიო მესტრე.

ერევანში კი „ბანანც“ — „ამერს“ ბულგარელები იმსაჯებენ: მთავარი მსაჯი ხრისტო რისტოსკოვი, გვერდითები — კრუმ სტოილოვი და ნიკოლაი ძუგანსკი, მეოთხე მსაჯი — ცვეტან გეორგიევი.

ლუკა თალაკვაძე

საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

კალენდარი

თექვსმეტი მეთვრამეტეშიც! კალენდარი შედგა, კალენდარი შედგება



როგორც ჩანს, მე-18 ეროვნულ ჩემპიონატის თექვსმეტგუნდიანობაც საბოლოოდ გადაწყდა. არა, ჯერ ნუ ვიჩქარებთ, ზოგიერთი კლუბი ისეთ დღეშია, ლარს ლარზე აკოწიწებს და ვარჯიში რაა, ისიც არ ჩაუტარებია...

...და მაინც, გუშინ პროფლიგაში 16 უმაღლესლიგელი დანომრეს და წინასწარი კალენდარი შეადგინეს. მასში სავარაუდო თარიღებიცაა შეტანილი, ანუ რომელი ტური როდის გაიმართება. თუმცა პროფლიგამ კალენდრის საბოლოო ვარიანტის გამოქვეყნებისგან თავი შეიკავა.

ხვალ პროფლიგაში თექვსმეტივე კლუბის ხელმძღვანელები ერთხელაც შეიკრიბებიან და აწ შედგენილ კალენდარზე იმსჯელებენ.

ჯერჯერობით კი მხოლოდ ის ვიცით, რომ ჩემპიონატის პირველი ტური, სავარაუდოდ, 28-29 ივლისს გაიმართება...

პირველი წრე

პირველი ტური	მეექვსე ტური	მეთერთმეტე ტური
დინამო – ბორჯომი	ბორჯომი – მერანი	ჯოლხეთი – ბორჯომი
დილა – ბათუმი	თბილისი – ცხინვალი	ჯახეთი – სიონი
ამერი – ჩიხურა	ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი	ზესტაფონი – ტორპედო
ტორპედო – ვიტ ჯორჯია	ჩიხურა – ზესტაფონი	ლოკომოტივი – ამერი
სიონი – თბილისი	ბათუმი – ჯახეთი	ცხინვალი – დილა
ჯოლხეთი – მერანი	დინამო – ჯოლხეთი	მერანი – დინამო
ჯახეთი – ცხინვალი	დილა – სიონი	თბილისი – ბათუმი
ზესტაფონი – ლოკომოტივი	ამერი – ტორპედო	ვიტ ჯორჯია – ჩიხურა
მეორე ტური	**მეშვიდე ტური**	**მეთორმეტე ტური**
ბორჯომი – ლოკომოტივი	ტორპედო – ბორჯომი	ბორჯომი – ჩიხურა
ცხინვალი – ზესტაფონი	სიონი – ამერი	ბათუმი – ვიტ ჯორჯია
მერანი – ჯახეთი	ჯოლხეთი – დილა	დინამო – თბილისი
თბილისი – ჯოლხეთი	ჯახეთი – დინამო	დილა – მერანი
ვიტ ჯორჯია – სიონი	ზესტაფონი – ბათუმი	ამერი – ცხინვალი
ჩიხურა – ტორპედო	ლოკომოტივი – ჩიხურა	ტორპედო – ლოკომოტივი
ბათუმი – ამერი	ცხინვალი – ვიტ ჯორჯია	სიონი – ზესტაფონი
დინამო – დილა	მერანი – თბილისი	ჯოლხეთი – ჯახეთი
მესამე ტური	**მერვე ტური**	**მეცამეტე ტური**
დილა – ბორჯომი	ბორჯომი – თბილისი	ჯახეთი – ბორჯომი
ამერი – დინამო	ვიტ ჯორჯია – მერანი	ზესტაფონი – ჯოლხეთი
ტორპედო – ბათუმი	ჩიხურა – ცხინვალი	ლოკომოტივი – სიონი
სიონი – ჩიხურა	ბათუმი – ლოკომოტივი	ცხინვალი – ტორპედო
ჯოლხეთი – ვიტ ჯორჯია	დინამო – ზესტაფონი	მერანი – ამერი
ჯახეთი – თბილისი	დილა – ჯახეთი	თბილისი – დილა
ზესტაფონი – მერანი	ამერი – ჯოლხეთი	ვიტ ჯორჯია – დინამო
ლოკომოტივი – ცხინვალი	ტორპედო – სიონი	ჩიხურა – ბათუმი
მეოთხე ტური	**მეცხრე ტური**	**მეთოთხმეტე ტური**
ბორჯომი – ცხინვალი	სიონი – ბორჯომი	ბორჯომი – ბათუმი
მერანი – ლოკომოტივი	ჯოლხეთი – ტორპედო	დინამო – ჩიხურა
თბილისი – ზესტაფონი	ჯახეთი – ამერი	დილა – ვიტ ჯორჯია
ვიტ ჯორჯია – ჯახეთი	ზესტაფონი – დილა	ამერი – თბილისი
ჩიხურა – ჯოლხეთი	ლოკომოტივი – დინამო	ტორპედო – მერანი
ბათუმი – სიონი	ცხინვალი – ბათუმი	სიონი – ცხინვალი
დინამო – ტორპედო	მერანი – ჩიხურა	ჯოლხეთი – ლოკომოტივი
დილა – ამერი	თბილისი – ვიტ ჯორჯია	ჯახეთი – ზესტაფონი
მეხუთე ტური	**მეათე ტური**	**მეთხუთმეტე ტური**
ამერი – ბორჯომი	ბორჯომი – ვიტ ჯორჯია	ზესტაფონი – ბორჯომი
ტორპედო – დილა	ჩიხურა – თბილისი	ლოკომოტივი – ჯახეთი
სიონი – დინამო	ბათუმი – მერანი	ცხინვალი – ჯოლხეთი
ჯოლხეთი – ბათუმი	დინამო – ცხინვალი	მერანი – სიონი
ჯახეთი – ჩიხურა	დილა – ლოკომოტივი	თბილისი – ტორპედო
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია	ამერი – ზესტაფონი	ვიტ ჯორჯია – ამერი
ლოკომოტივი – თბილისი	ტორპედო – ჯახეთი	ჩიხურა – დილა
ცხინვალი – მერანი	სიონი – ჯოლხეთი	ბათუმი – დინამო

მარიო პესკანტე: თავები უნდა გაგორდეს!



ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

60 წლის მარიო პესკანტე მარტო იტალიაში კი არა, მთელ მსოფლიოში ცნობილი კაცია. 90-იანი წლების დასაწყისში იტალიის ფეხბურთის ფედერაციას ვიცეპრეზიდენტობდა, იყო იტალიის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელი და ახლა იქაურ სპორტს თავკაცობს. ამასთან, მარიო პესკანტე ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტიცაა და ბებერი კონტინენტის სპორტის ხელმძღვანელთა კონფერენციებს უძღვება ხოლმე. მარიო პესკანტესთვის საქართველო კარგად ნაცნობი ქვეყანაა. სამი წლის წინ, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის იუბილეზე ქალიშვილთან ერთად ჩამოვიდა და, როგორც თავად ამბობს, თბილისში დაუვიწყარი დღეები გაატარა.

მარიო პესკანტეს ქართველი მეგობრების დახმარებით დავუკავშირდით და პირველად იტალიურ ფეხბურთში აგორებულ სკანდალსა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ვკითხეთ.

იტალიის სპორტის მკაცრი შეფი ლოტოს თამაშს გვირჩევს

— იტალიურ სკანდალზე ინფორმაციები კი მოდის, მაგრამ როგორც ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ მაღალჩინოსანს მეტი გეცოდინებათ და თქვენი შეფასებაც უფრო საინტერესო იქნება.

— ძალიან მიჭირს ამ თემაზე ლაპარაკი. მთლიანად იტალიის სირცხვილია, ეს ამბავი ასე რომ გახმაურდა. იტალიაში ფეხბურთი რელიგიასავითაა. ყველა იტალიელი ძალიან დათრგუნულია, თანაც, რიგითი კლუბები რომ იყვნენ გარეულნი, მაინც რაღაც შეღავათი იქნებოდა, მაგრამ როდესაც ისეთი კლუბები არიან ბრალდებულნი, როგორებიც „მილანი“ და „იუვენტუსი“ არიან, საქმე თავისთავად დიდ სკანდალთან გვაქვს.

— თქვენ რას ფიქრობთ ამ ყოველივეზე?

— ჩემი აზრით, ჭორებით ან ერთი-ორი აუდიოჩანაწერით სკანდალი არ აგორდება. რადგან ამ ყველაფერმა ასეთი სერიოზული სახე მიიღო, ესე იგი, ეს ამბავი ერთი-ორი წლის წინ კი არა, კარგა ხნით ადრე დაიწყო. ჩემი პოზიცია ცალსახაა: ვისაც კი ბრალეულობა დაუმტკიცდება, სამუდამოდ უნდა ჩამოშორდეს საფეხბურთო საქმიანობას და კანონით დაისაჯოს.

— კლუბები?

— როდესაც „მილანი“ გარიგებებში ამხილეს, სერია B-ში დააქვეითეს. თუ პრეცედენტი არსებობს, არ მესმის, რატომ არ უნდა განმეორდეს, ან რატომ არ უნდა დაისაჯონ სხვა კლუბები? თუ ბრალეულობა დაუმტკიცდებათ, ყველა მხილებული გუნდი უნდა დააქვეითონ იმის მიხედვით, ვის უფრო მძიმე ბრალი აქვს.

— ეს სკანდალი იტალიურ ფეხბურთზე გავლენას რომ იქონიებს, ცხადია, თანაც, როგორ აისახება მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე „სკუადრა აძურას“ თამაშზე?

— რა თქმა უნდა, დამთრგუნველად. გონივრული გადაწყვეტილება მიიღო პროკურატურამ, გამოძიების შედეგებს მხოლოდ ფინალის შემდეგ რომ გამოაცხადებს.

— ესე იგი, იტალია უკვე ფინალშია?

— ჩემპიონატის დაწყებისას იტალია უეჭველ ფავორიტად მიმაჩნდა, მაგრამ ახლა ძალიან მეშინია გერმანიის. ვფიქრობ, რომ ამ წყვილში გაიმარჯვებს, ჩემპიონიც ის გახდება. იმედია, ეს იტალია იქნება.

— ისევ იტალიურ ფეხბურთს დავუბრუნდეთ... თქვენი აზრით, საიდან და როგორ შეიძლება აგორებულიყო ეს სკანდალი?

— ამის საფუძველი კარგა ხანია, არსებობდა, მაგრამ სერიოზული გამოძიების დაწყება არ ან ვერ ხერხდებოდა. როგორც ვიცი, გამოძიებას თავიდან სულ სხვა რამ, ფინანსური მაქინაციები აინტერესებდა, მერე სატელეფონო საუბრების მოსმენისას მსაჯებზე ზემოქმედების თემაც ამოტივტივდა. ვფიქრობ, გამოძიებამ კარგად იმუშავა, როდესაც არ იჩქარა და ფაქტებზე უმალ არ მოახდინა რეაგირება. რამდენიმე დღეში, როცა „მსაჯების სკანდალი“ დასრულდება, გამოძიება ბევრი კლუბის ფინანსური საქმიანობას შესწავლას განაგრძობს. საქმე იქით მიდის, რომ ამ ამბავს შეიძლება პატარა კლუბებიც შეეწირონ.

— ჯანლუკა პესოტოს თვითმკლელობის მცდელობას ამ სკანდალს უკავშირებთ?

— ყოველ შემთხვევაში, ეს ამბავი საეჭვოდ დაემთხვა გამოძიების ფაქტობრივ დასასრულს. პესოტო ძალიან კარგი პიროვნებაა, პირადად ვიცნობ და მის ამბავს ძალიან განვიცდი. ჯანლუკა ახლა უკეთაა, ალბათ მალე გამოჯანმრთელდება და სიმართლეს იტყვის.

— „მილანი“, „იუვენტუსი“, „ლაციო“, „ფიორენტინა“... ამ კლუბებში ბევრი ვარსკვლავი თამაშობს. თუ ეს გუნდები დააქვეითეს, ცხადია, ყველა თუ არა, ვარსკვლავთა უმეტესობა სხვა კლუბებში გადავა. თუ სერია A-ს გუნდებმა მათი პირობები ვერ დააკმაყოფილეს, იტალიიდან ფეხბურთელთა მასობრივი მიგრაცია დაიწყება?

— ამის ალბათობა არის, მაგრამ არც ისე მასშტაბური, რომ საგანგაშო იყოს. ეს ისევ და ისევ ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, ერთი სეზონის მოთმენას მათი ბიუჯეტი აიტანს.

— მოდით, არასაფეხბურთო თემაზეც ვთქვათ. თქვენ ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტიც ხართ...

— ჩათვალეთ, რომ პრაქტიკულად აღარ ვარ. გადადგომის შესაეხებ განცხადება უკვე დავწერე და მალე რიგგარეშე არჩევნებიც გაიმართება.

— რატომ გადადექით?

— პოლიტიკაში მინდა წასლა და ორ საქმეს ერთნაირი წარმატებით ვერ გავაკეთებ.

— პოლტიკაში თქვენს თავს სად ხედავთ?

— მე სილვიო ბერლუსკონის გუნდის წევრი ვარ, ჩემს ადგილს პოლიტიკაში მის გვერდით ვხედავ.

— ესე იგი, „მილანს“ გულშემატკივრობთ?

— სხვათა შორის, არა. „ლაციოს“ ქომაგი ვარ.

— „ლაციოს“ ქომაგები ხომ ფეხბურთისთვის მიუღებელი რადიკალიზმით არიან ცნობილნი...

— ასეა, მაგრამ მათ იდეებთან საერთო არაფერი მაქვს. უბრალოდ, როგორც დასავლეთ რომაელი, „ლაციოს“ ვგულშემატკივრობ, თუმც „მილანიც“ მომწონს და ქართველი კახა კალაძეც. მსოფლიო დონის მოთამაშეა. ისე „მილანში“ ვერ მოხვდებოდა.

— იტალიის მთავრობაში სპორტის მდივანი ხართ. ეს იგივეა, რაც მინისტრი?

— პრაქტიკულად იგივეა, ოღონდ აქ სპორტის სამინისტრო როგორც ასეთი არ არსებობს. იტალიაში სპორტი, ტურიზმი, ახალგაზრდობის განვითარებისა და ზოგადი განათლების დეპარტამენტები ერთადაა. მე, თუ შეიძლება ითქვას, ამ გაერთიანებას ვხელმძღვანელობ. რაც შეეხება წმინდა სპორტულ სახელმწიფო უწყებას, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროიდან ბენიტო მუსოლინის ბრძანებით სპორტის ყველა სახეობას ოლიმპიური კომიტეტი განაგებს.

— საქართველოში ოლიმპიური კომიტეტიცაა, სპორტის სამინისტროც და სპორტის დეპარტამენტიც. პატარა ქვეყნისთვის რამდენად გამართლებულია ამდენი უწყება?

— მე თქვენს სტრუქტურას არ ვიცნობ და ამიტომ ვერ გეტყვით, გამართლებულია თუ არა. ისე კი, თუ სინთეზია, რატომაც არა?! მთავარია, როგორ არის ფუნქციები და ფინანსები გადანაწილებული. ძალიან მნიშვნელოვანია, პასუხისმგებლობა ვის უფრო ეკისრება. როგორც გითხარით, იტალიაში ყველაფერს ოლიმპიური კომიტეტი განაგებს. სახელმწიფო მხოლოდ კოორდინაციას უწევს და თუ საჭიროა, ეხმარება კიდეც.

— საქართველოში ოლიმპიური კომიტეტი პატრონობს ოლიმპიურ სახეობებს და ოლიმპიადისთვის შეგულებულ სპორტსმენებს. სპორტის დეპარტამენტს კი აქვს პრიორიტეტული სახეობები, რომლებიც თითქმის ყველა ოლიმპიური სახეობაა. ამ ვითარებაში არაოლიმპიური სახეობები არ იჩაგრება?

— ჩვენთანაც თითქმის ასეა, მაგრამ საჭირო დაფინანსება ყველა დანარჩენ სახეობასაც აქვს. შეიძლება, ვინმეს არ უნდოდეს ფეხბურთზე, ჭიდოზე ან ფრენბურთზე მისვლა და უნდოდეს რაგბი ან სხვა რომელიმე არაოლიმპიური სახეობა. დიფერენციაცია, ვფიქრობ, საჭიროა, მაგრამ სახეობებს შორის დაფინანსებაში სხვაობა საგრძნობი არ უნდა იყოს.

— ერთიც, როგორც ვიცით, იტალიურ სპორტში დიდი ფული მას შემდეგ გაჩნდა, რაც ეროვნული ლატარია შემოიღეთ. მსგავსი პროექტი საქართველოშიც განიხილება...

— ამაში მთავარი როლი სწორედ სახელმწიფომ ითამაშა. მთავრობის ხელშეწყობით შემოვიღეთ ორი სახეობის ლატარია — „ტოტო-ლოტო“ და „ოლიმპიური ლოტო“. სპორტის შესახებ კანონში შეღავათებიც შევიდა და ამაზე პოპულარული ლატარიები იტალიაში უბრალოდ არ არის. წლიური შემოსავალი ორ მილიარდ დოლარს აღწევს. ეს ფული კი სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და სპორტსმენთა მომზადებას ხმარდება. საბელმწიფოც მოგებული დარჩა. ქვეყნის ბიუჯეტს დაახლოებით მილიარდი დოლარი ეზოგება, ხოლო ბიუჯეტში იქით შედის წელიწადში 800-900 მილიონი დოლარი.

ბაჩო სვანიძე

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

ბადრი პატარკაციშვილი, მარიო პესკანტე და ევროპის ოლიმპიური კომიტეტის გენმდივანი პატრიკ ჰიკი

ᲙᲔᲛᲞᲘ ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲣᲚᲘᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ

ᲮᲐᲑᲐᲠᲔᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲡ ᲛᲘᲜᲡᲙᲨᲘ ᲓᲐᲐᲙᲕᲘᲠᲓᲔᲑᲐ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ძიუდოისტთა ნაკრები გაფართოებული შემადგენლობით ბელარუსში გაფრინდა. დღეს მინსკში ტრენინგ-კემპი იწყება და მასში მსოფლიოს ოცამდე ქვეყნის ნაკრები ჩაერთვება. ერთობლივი ვარჯიშები და სპარინგ-შეხვედრები კვირის ბოლომდე გასტანს.

მინსკურ კემპზე ნაკრების თავკაცმა **ᲖᲝᲗᲐ ᲮᲐᲑᲐᲠᲔᲚᲛᲐ** 15 შეგირდი იახლა. „არჩევანი იმ ბიჭებზე შევაჩერე, რომელთაც წლევანდელ ტურნირებში გამორჩეულად იჭიდავეს — გვითხრა მან — საშემოდგომოდ სწორედ ამ კანდიდატებიდან შეირჩევა ევროპისა და მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატებზე წასაყვანი შვიდეულები“.

73 კილოგრამი წონითი კატეგორია ერთადერთია, რომელშიც მწვრთნელმა მხოლოდ ერთი კაცი შეიყვანა საბელარუსო განაცხადში — დავით ქევხიშვილი შიდა კონკურენციაში აშკარად გამოკვეთილი ლიდერია. სხვა წონებში პირველ-მეორე ნომრები შეირჩნენ. 100 და +100 წონებში კი სულაც სამ-სამ კანდიდატს მოუწევს მინსკის ტატამზე ვარჯიში.

ამ კვირაში ევროპაში კიდევ ერთი კემპია. ბელარუსის პარალელურად ესპანეთში შეიკრიბებიან სხვადასხვა კუთხის ძიუდოისტები. ქართველებს კი არჩევანი შემადგენლობების გარკვევის შემდეგღა გაუკეთებიათ. მსოფლიოს უძლიერესი ნაკრებები: იაპონია, კორეა, რუსეთი, ბრაზილია და სხვები მინსკში აპირებენ ჩამოსვლას, თან უძლიერესი შემადგენლობებითო — დასძინა ხაბარელმა.

ᲝᲗᲐᲠ ᲒᲐᲚᲚᲐᲙᲔᲚᲘᲫᲔ

23 წლის ქართველი ფორვარდი ნიკოლოზ ცქიტიშვილი ახალ სეზონს ახალ გუნდში შეხვდება. თავის მე-5 რეგულარულ ჩემპიონატს მე-5 გუნდში „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსში“ დაიწყებს. თუ რა თქმა უნდა, ამ ზაფხულს საზაფხულო ლიგებში ახალ ხელმძღვანელობას თავი მოაწონა და „ბლეიზერსის“ შემადგენლობაში თვითდამკვიდრება მოახერხა.

ᲪᲥᲘᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲞᲝᲠᲢᲨᲘ



2002 ᲬᲚᲘᲡ დრაფტზე სენსაციურად მაღალ, მე-5 ნომრად არჩეულმა ცქიტიშვილმა აქამდე ბედი და თამაში სცადა „დენვერში“, „გოლდენ სტეიტში“, „მინესოტასა“ და „ფინიქსში“, მაგრამ ყველგან თვალში საცემი წარმატების გარეშე. ოთხსეზონიან კარიერაში მონაწილეობა მიიღო 172 თამაშში (აქედან დიდი ნაწილი მის პირველ გუნდ „დენვერზე“ მოდის) და საშუალდ 11,3 წუთში 2,9 ქულა მოაგროვა. ამ რამდენიმე დღის წინ „ფინიქსმა“ რომ გაუშვა, „პორტლენდმა“ მაშინვე აიყვანა.

„პორტლენდის“ მთავარი მწვრთნელი ნეიტ მიკმილანი საკმაოდ ოპტიმისტურ განცხადებას აკეთებს ცქიტიშვილთან დაკავშირებით: „მე კარგა ხნის წინ ვთქვი, ამ ბიჭს ყურადღება რატომ არ მივაქციოთ-მეთქი. მას იცნობენ როგორც მოძრავ და კარგ მსროლელს. არა მგონია, აქამდე ბევრჯერ მისცემოდა იმის საშუალება, რომ თავისი შესაძლებლობა მოედანზე, ნამდვილ თამაშში დაემტკიცებინა, მაგრამ მრავალ ადამიანს მასზე კარგი წარმოდგენა აქვს. რეალურად მისი აყვანით ჩვენ არაფერს ვკარგავთ, შესაძლოა, ისეთი მოთამაშე გამოდგეს, რომელიც რამეში გამოგვადგება.“

მოკლედ, აქამდე 4 წელი სათადარიგოთა სკამზე დამკვიდრებულ ცქიტიშვილს იქ, ანუ ნბა-ში დარჩენის შანსი კიდევ ერთხელ ეძლევა. „პორტლენდი“ სუსტი გუნდია, ლიგაში ერთ-ერთი უსუსტესიც და გუნდის ხელმძღვანელებს შეუძლიათ, თავს ექსპერიმენტების და ახალგაზრდა მოთამაშეების გამოცდის ნება მისცენ. ცქიტიშვილმა კი ერთხელაც უნდა გამოიჩინოს თავი რომელიმე საზაფხულო ლიგაში, რაც მას ტრადიციულად კარგად ეხერხება და ამით 12-კაციან შემადგენლობაში მოიპოვოს ადგილი.

სასტარტო ხუთეულზე კი ოცნებაც წარმოუდგენელია. ნიკას პოზიციაზე, 3-4 ნომრებზე ანუ მსუბუქ და მძიმე ფორვარდებად „პორტლენდს“ დარიუს მაილზი და ზაკ რენდოლფი ჰყავს და სიმართლე ითქვას, ხერიანი სხვაც არავინ მოეძევება. ბლომად არიან სათადარიგოებად „გამზადებული“ სხვა ფორვარდებიც და მათ ერთიც დაემატა — დრაფტის მეორე ნომერი, 21 წლის 211-სანტიმეტრიანი ფორვარდი ლამარკუს ოლდრიჯი, რომელსაც სამწვრთნელო შტაბი გაცილებით მეტ ყურადღებას დაუთმობს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ახალწვეულს. ასე რომ, ცქიტიშვილს ისღა დარჩენია, ბრძოლით მოიპოვოს ადგილი მზის ქვეშ.

ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲨᲘᲐ

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲛᲔ-18 ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

სამმა ქართველმა მეტოქე ალყაში მოაქცია

ᲣᲜᲒᲠᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲕᲔᲚᲐᲠ...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ 21:25 (12:11)

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ზღვისპირა ქალაქ გდანსკში მიმდინარე სტუდენტ ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა.

საქართველოს ნაკრებს მეტოქედ უნგრელები ჰყავდა. ჩვენებმა წინა დღეს მასპინძლებთან ფრედ ითამაშეს — 24:24, მადიარები კი იაპონელებთან დამარცხდნენ — 28:36. აქვე ისიც ვთქვათ, რომ პოლონელებთან შეხვედრაში ქართველთაგან საუკეთესომ, სერგო დათუკაშვილმა ათი გოლი გაიტანა.

როგორც ჩვენი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მერაბ მეტრეველმა ტელეფონით გვაცნობა, უნგრელებთან თავიდანვე დაძაბული, თანაც საკმაოდ უხეში თამაში ყოფილა. რამდენიმეწუთიანი თანაბარი ჰერიოდის შემდეგ ქართველები ხუთი ბურთით დაწინაურდნენ — 7:2, თუმც ტაიმის ბოლოს მეტოქემ სხვაობა შეამცირა — 12:11.

ჩვენი ბიჭები მინიმალურ უპირატესობას თითქმის ბოლომდე ინარჩუნებდნენ — 19:18, მაგრამ ერთ-ერთი ლიდერის, ვლადიმერ რუსიას გაძევების შემდეგ უნგრელებმა თამაშში გარდატეხა შეიტანეს და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 25:21.

მწვრთნელმა ჩვენებიდან აღნიშნა 24 წლის გიორგი წივწივაძე, რომელიც დაცვაშიც და შეტევებშიც ჩინებულად ირჯებოდა.

გუშინვე იაპონელებმა მეორე თამაშიც მოიგეს, ამჯერად ხორვატებთან — 34:29 და სათავეში ჩაუდგნენ სატურნირო ცხრილს.

დღეს საქართველოს ნაკრები ჩეხეთისას ეთამაშება. მეტრეველის თქმით, ჩვენებს ექვსგუნდა ჯგუფში მეორე-მესამე ადგილის დაკავების შანსი აქვთ.

ᲖᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ

ᲙᲝᲠᲐᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲝᲨᲙᲘᲓᲐᲜ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

ᲑᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲡ ახალგაზრდა თბილისელი წყალში მხტომელები ჭოლა ჭანტურია და გიორგი გევორქიანი საერთაშორისო შეჯიბრებებში სტაბილურად კარგად გამოდიოდნენ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში და მედლებსაც იმკიდნენ. ასე იყო ამას წინათ გერმანიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზეც, სადაც მათ წინ მხოლოდ ჩინელები გაუშვეს და ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ეს ყოველივე დამაიმედებელი ჩანდა ახალგაზრდა წყალში მხტომელთა ევროპის პირველობისთვის, რომელიც ამ დღეებში მიმდინარეობს ესპანეთის ქალაქ პალმა დე მალიორკაში.

სამწუხაროდ, როგორც საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ირაკლი ბართაიამ პალმა დე მალიორკიდან გვაცნობა, გიორგი გევორქიანი პირველივე დღეს ვარჯიშისას დაშავდა და საავადმყოფოში წასაყვანი შეიქნა. მას მხრის მყესი დაეჭიმა. მართალია, სამედიცინო დახმარების შემდეგ საავადმყოფოდან გამოწერეს, მაგრამ ტკივილი დღემდე აწუხებს.

გევორქიანი გუნდის ინტერესებისთვის ტკივილს არ შეეპუა და 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ჭოლა ჭანტურიას მხარმტკივანი ამოუდგა მხარში. ჩვენმა წყვილმა ფინალში კი გააღწია, მაგრამ იქ მხოლოდ მეათე ადგილი დაიკავა. ირაკლი ბართაიას აზრით, ტრავმა რომ არა, ეს წყვილი მეოთხე ადგილზე მაინც გავიდოდა.

გუშინ კი თბილისელი შოთა კორახაშვილის ჯერიც დადგა. დილით კოშკიდან წინასწარ ხტომებში მან მეხუთე შედეგი აჩვენა და ფინალურ შეჯიბრებაში გამოსვლის უფლებაც მოიპოვა.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲑᲧᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ალონსომ 15-ზე დაამუხრუჭა

მიხაელმა ასე თუ გააგრძელა...

AFP

ტრადიციული წუწაობა შამპანიურით ფერარელთა შესრულებით

ჯერ კიდევ შაბათს, საკვალიფიკაციო შეჯიბრისას წამხდარი რენოელები განცვიფრებულები იყვნენ ფერარელთა სისწრაფით.

ჯანკარლო ფიზიკელა: „ძალიან გაკვირვებულები ვართ, რომ „ფერარები" ჩვენზე წამით ჩქარები იყვნენ, ეს კი უზარმაზარი უპირატესობაა. ვერ გამიგია, რაშია საქმე — ჩვენიც და იმათი მანქანებიც ხომ იგივეა, რაც ერთი კვირის წინ კანადაში. ეტყობა, აქ, ინდიანაპოლისის ტრეკზე, „ბრიჯსტოუნის" საბურავები „მიშლენზე" უკეთ მუშაობს. სხვა ახსნას ვერ ვპოულობ."

მიხაელ შუმახერმა კარიერაში 67-ედ მოიგო პოული, თანაც უზარმაზარი უპირატესობით — წამით აჯობა ფიზიკელას და წამნახევრით ჩემპიონატის ლიდერ ალონსოს. რბოლის სტარტზე შუმის გვერდით მისი ბრაზილიელი მეწყვილე ფელიპე მასა დადგა, რაც გერმანელი „წითელი ბარონისთვის" ზესაიმედო ზურგი იყო.

მიხაელი: „წინა რბოლებში კონკურენტებს სისწრაფეში საკმაოდ ჩამოვრჩებოდით, ახლა კი ბევრით ჩამოვიტოვეთ და ამხელა უპირატესობით გაკვირვებული ვარ. კვალიფიკაციისას ყველაფერი მშვენივრად გამოგვივიდა. იმედი მაქვს, რბოლაშიც ასევე იქნება, თუმც პოულის მოგება ხომ საქმის მხოლოდ ნახევარია."

„რენოს" ბოსი ფლავიო ბრიატორე: „ჩვენ ამ რბოლას ვერ მოვიგებთ, მაგრამ მაქსიმალურად ვეცდებით კარგი შედეგის მიღწევას და პოდიუმზე დადგომას. ყველა რბოლაში გამარჯვება შეუძლებელია და დღეს უბრალოდ ქულების დაგროვებას ვეცდებით. ინდიანაპოლისში მეტოქედ მხოლოდ „ფერარი" გვყავს და იმედია, იტალიური გუნდის ერთ პილოტს მაინც ვაჯობებთ."

ვერ აჯობეს. მიხაელმა და ფელიპემ თავიდანვე ისე გაქუსლეს, რომ რენოელებს წამოწევის შანსი ერთხელაც არ გასჩენიათ და უმთავრეს კონკურენტებს უზარმაზარი სხვაობით ჩამორჩნენ.

ფიზიკელა სტარტზე მესამე იდგა, ალონსო — მეხუთე, ჰონდელ რუბენს ბარიკელოს უკან. დაძვრისთანავე პატარა, ოღონდ დროებითი მოულოდნელობა მოხდა — მასა შუმიზე ცოცხლად გაქანდა და ლეგენდად ქცეულ მეწყვილეს პირველ მოსახვევში შეასწრო. მათ უკან კი კინაღამ უბედურება დატრიალდა, მასიურ ავარიაში ექვსი მრბოლი დაზარალდა, ყველაზე მეტად — გერმანელი ნიკ ჰაიდფელდი. ხუან-პაბლო მონტოიამ თანამკლარენელ კიმი რაიკონენს უკნიდან ურქინა, რასაც ჯაჭვური რეაქცია მოჰყვა: ხუანის „მაკ" ჯენსონ ბატონის „ჰონდას" წამოედო, იმან კი ნიკის „BMW-ზაუბერს" გვერდი ისე წაჭრა, რომ ჰაერში აფრენილი, ერთი ხუთჯერ ამოყირავდა და გზადაგზა დაიშალა.

და მერამდენედ მადლობა ღმერთს და მრბოლთა დამცავ სისტემას, რომ კატასტროფას მსხვერპლი არ მოჰყოლია და ჰაიდფელდი ამ ჯოჯოხეთს უვნებლად გადაურჩა.

ვიდრე ტრასას ნაომარ, ჯართადქცეულ ბოლიდებისგან გაწმენდდნენ, ქარავანს ხუთი წრე უსაფრთხოების „მერსედესი" მიუძღოდა.

პეისკარმა მიუშვა თუ არა, ფერარელებმა ისე გაუტიეს, რომ ათიოდ წრეში უკვე ათი წამით ჩამოიტოვეს „მტრები". როქი „რენოშიც" მოხდა. რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ ფიზიკომ უგრძეს, კილომეტრნახევრიან სასტარტო სწორის ბოლოს იოლად აუარა გვერდი ფერნანდოს.

პირველი პიტსტოპის შემდეგ კი ფერარული სტატუს-კვო აღდგა — შუმახერი მასაზე წინ დაუბრუნდა ტრასას და მეწინავეობა ბოლომდე შეინარჩუნა. ფინიშის ხაზი კი მის მიყოლებით ფელიპემ გადაჭრა. ამრიგად, „ფერარიმ" შტატებში დუბლით გაიმარჯვა. ეს მასას ოთხწლიან კარიერაში პირველი მეორე ადგილია.

ამჯერად გასაოცრად წელ ალონსოს ტოიოტელმა იარნო ტრულიმაც აჯობა. იტალიელი ამერიკული ეტაპის თანაგმირადაც შეიძლება ჩაითვალოს. პირველივე საკვალიფიკაციო სერიაში მის ბოლიდს ზეთი გაედინა და ბრძოლის ყველაზე უკან, პიტლაინიდან დაწყება მოუხდა. მაგრამ ლიდერთაგან განსხვავებული ერთი საბოქსე ტაქტიკის წყალობით, იარნომ რბოლა თვით ჩემპიონატის ლიდერ ალონსოზე წინ დაასრულა.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ჩემპიონატის რვა ეტაპის შემდეგ ტრულის კინკილა ქულაც არ მოეძევებოდა, ხოლო სადღეისოდ უკვე რვა იშოვა და პირველ ათეულშია.

ინდიანაპოლისის „მოტორ სპიდვეიზე" ალონსო წლეულს პირველად დარჩა საპრიზო ადგილის გარეშე, რითაც შეწყდა მისი შარშან 21 აგვისტოს თურქეთში დაწყებული 15-პოდიუმიანი ბრწყინვალე სერია.

მიხაელ შუმახერმა კი წლეულს მესამედ გაიმარჯვა, კარიერაში 87-ედ და რაც უმთავრესია, ექვსი ქულით შეამცირა ალონსოსთან ჩამორჩენა საერთო ჩათვლაში: „დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, თუ რაოდენ სწრაფად შეიძლება შეიცვალოს ჩემპიონატში ვითარება. ფერნანდოს 19 ქულით ჩამოვრჩები, წინ კი რვა ეტაპია, სადაც 80 ქულა გათამაშდება — მოკლედ, ყველაფერია შესაძლებელი! ტიტულისთვის საბრძოლველად ეს წარმატება უნდა გავაღვივოთ, ანუ ასეთივე უპირატესობა მოვიპოვოთ ევროპულ რბოლებშის"

მომდევნო ეტაპი 16 ივლისს საფრანგეთში გაიმართება.

გია ახალაძე

ტურ დე ფრანსი 2006. 1–23 ივლისი

ხელეზი შორს კაი ბიჭებისგან

ტურ ჰუსჰოვდი იღბლად გადაურჩა ქომაგის ხულიგნობას

შვიდკილომეტრიანი პროლოგის შემდეგ ტურ დე ფრანსის ველოქარავანი ევროკავშირის საშტაბო ქალაქ სტრასბურიდან (და არა სტრასბურგიდან) გამოვიდა და ელზასის მხარის ბორცვიან ვაკეზე გაგორდა. 184,5 კილომეტრიანი პირველი ეტაპი ჯერ მაინც გასახურებლად ჩაითვლება, მაგრამ საფრანგეთის მოვლილ გზებზე ლენს არმსტრონგის „პარპაშის" შემდეგ ველოსპორტზე უცაბედად გულშევარდნილი ამერიკული საინფორმაციო საშუალებები ომახიანად გვატყობინებენ — საერთო ჩათვლაში ამერიკელი ჯორჯ ჰინკეპი დაწინაურდაო.

ჰინკეპი მეოთხე ამერიკელი გახდა, რომელმაც საერთო ჩათვლის ლიდერის სარგო ყვითელი მაისურა მოირგო. წინა სამნი იყვნენ, რაღა თქმა უნდა, არმსტრონგი, ტურის ძველი, სამგზის ჩემპიონი გრეგ ლემონდი და მოქმედი მრბოლი, თუმც არც ისე ბევრის მომგები დევიდ ზაბრისკი.

ჰინკეპმა პირველ ეტაპზე ნაშოვნი 2-წამიანი ბონუსის წყალობით მოირგო ლიდერის მაისურა. წინა დღით, შაბათს პროლოგი მან და ნორვეგიელმა ტორ ჰუსჰოვდმა ერთი დროით დაასრულეს და მაშინ წამის მეათედების წყალობით ნორვეგიელი დაწინაურდა. პირველ სრულ „კილომეტრაჟიან" ეტაპზე კი ამერიკელმა შუალედური სპრინტი მოიგო, რის გამოც პრემიალური 2 წამი მიიღო და ამის წყალობით გალიდერდა.

ჰუსჰოვდს კი არ გაუმართლა, ის მეტ პრემიალურს მიიღებდა, ეტაპი რომ მოეგო. კარგი სპრინტერიც გახლავთ, მაგრამ, ასე ვთქვათ, მინი-ავარიაში მოყვა და ლიდერობაც დათმო — საფინიშო კილომეტრზე ქროლვისას ველომრბოლთა ჯგროს ნაკადში კიდეზე მოექცა, ბარიერს იქიდან გადმოწვდილი გულშემატკივრის დიდი მწვანე „ხელი" მოხვდა და წინასწორობადაკარგულმა სარეკლამო დაფაზე ხელი დაიშავა. მაინც მოახერხა რბოლის გაგრძელება და ფინიშიც მეცხრემ გადაკვეთა, მერე კი მაშინვე ექიმთან გაქანდა, რაკი მკლავიდან თქრიალით გადმოსდიოდა სისხლი. იდაყვის არეში ოთხი ნაკერიც დაადეს, მაგრამ მისი გუნდის პრესმდივანმა ნორვეგიელის ქომაგები დაამშვიდა — ღია ჭრილობა კი აქვს, მაგრამ ამას ეშველება, ჰუსჰოვდი შემდეგი ეტაპზე ველოზე იქნება და რბოლასაც განაგრძობსო.

ტურის დირექტორატმა კი გადაბრუნებული ურემი რომ დაინახა, „გზის გაკეთება" მერე მოინდომა და გამოაცხადა — ამიერიდან ბოლო კილომეტრებზე რიკულებთან მდგარ გულშემატკივრებს აეკრძალებათ ისეთი რამერუმეების ქნევა, სპორტსმენებს რომ დააშავებსო. რამერუმეებში ალბათ დროშებიც იგულისხმება, ოღონდ ტურის აღმასრულებლებს ცოტა გაუჭირდებათ ამ ბრძანებულების ცხოვრებაში გატარება — გზისპირას გადმოფენილი მაყურებლების

პირველი ეტაპი. სტრასბური. 184,5 კმ

1 ჯიმი კასპერი (საფრანგეთი, კოფიდისი)	4სთ 10წთ
2 რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო)	
3 ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი)	ორივე იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 ჯორჯ ჰინკეპი (აშშ, დისქოვერი)	4სთ 18წთ 15წმ
2 ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი)	%2წმ
3 დევიდ ზაბრისკი (აშშ, CSC)	%6წმ

რიგი კილომეტრებზე იჭიმება. საინტერესო სამთო ეტაპების ფერდობებზე კი საერთოდ შეუძლებელი ჩანს პირდაპირ გზაზე, ველოსიპედის ბორბლებქვეშ შემოვარდნილი, ხშირად აგრესიული გულშემატკივრების გაკონტროლება და შეკავება.

ეს ყველაფერი კარგი, ეტაპის დასკვნითი სპრინტი კი ფრანგმა ჯიმი კასპერმა მოიგო. ბოლო 100-ულ მეტრებზე ის ორ ფეხჩაუქობით ცნობილ მრბოლთან — რობი მაკივენთან და ერიკ ცაბელთან ერთად დაწინაურდა, მერე კი ორივეს აჯობა, რაც ხუმრობა საქმე ნამდვილად არ გახლავთ. მაკივენი არც ერთ მრავალდღიან ველოტურს არ ტოვებს რამდენიმე სპრინტერული ეტაპის მოგების გარეშე, წლევანდელი ჯირო დიტალიიდან 3 გამარჯვება წამოიღო, ცაბელი კი 1996-2001 წლებში ზედიზედ ექვსჯერ ფლობდა ტურ დე ფრანსის საუკეთესო სპრინტერის სარგო მწვანე მაისურას.

კოტე ყორღია

უიმბლდონი 2006. ბალახი. საპრიზო 10 378 710 £

ლონდონი იანკეზის გარეშე

AFP ლონდონიდან

ლაბაძე დამარცხდა, მაგრამ ლონდონში თამაშს მაინც აგრძელებს წყვილთა შორის

ლაბაძემ ნადალი ვერ გადავლო

ასეთი რამ ბოლოს თითქმის ერთი საუკუნის წინ, 1911 წელს მოხდა — უიმბლდონის მეოთხედფინალში არც ერთი ამერიკელი არ ითამაშებს. უკანასკნელი შემორჩენილი იანკი, 21 წლის შენეი პერი გუშინ ელენა დემენტიევამ დაიფრინა.

ამერიკული საჩოგბურთო სკოლისთვის ეს მართლაც დიდი დარტყმაა, თუმცა ყოველივე ამას თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა — ანდრე აგასი კარიერას ამთავრებს, ენდი როდიკი ტრავმების გამო ფორმაში ვერაფრით ჩადგა, სერენა უილიამსი და ლინდსი დევენპორტი ისევ და ისევ ტრავმების გამო ვერ ჩავიდნენ ლონდონში, არც უფროსი უილიამსი იყო ბოლომდე ჯანმრთელი. ამიტომ უიმბლდონზე აქამდე ყველაზე წარმატებული სკოლის (83 უიმბლდონური ტიტული ერთეულთა შორის) ამდენად ცუდი გამოსვლა ცოტა გასაგები ხდება.

პერის კი დემენტიევამ საჩოგბურთო გაკვეთილი ჩაუტარა და სულ რაღაც 54 წუთში მოუგო.

ლენა მეოთხედფინალში თანამემამულე მარია შარაპოვას შეხვდება და საეჭვოა, იქ ყველაერი მალე გაირკვეს. დემენტიევასგან განსხვავებით, მაშას პირველად გაუჭირდა წლევანდელ გათამაშებაში — ფლავია პენეტამ ნამდვილი ბრძოლა გაუმართა აღიარებულ ფავორიტს. თუმც ამაში თვითონ შარაპოვა უფროა დამნაშავე, რადგანაც ძალიან გა, ემოციები და ჯახი მაშინ ნახეთ.

ანასტასია მისკინა და ნა ლი კი ყველანაირად ეცდებიან, რომ შიდაბელგიური გარჩევა არ შედგეს. რუსი მართლაც კარგ ფორმაშია და ჭინკა ბელგიელს დიდ სირთულეებს შეუქმნის. ჩინური სენსაციაც ეცდება თავისი საოცარი სერიის გაგრძელებას და კლასტერსის სახით კიდევ ერთი ფავორიტის გამოდგებას. ლიმ ხომ სვეტლანა კუზნეცოვა და ნიკოლ ვაიდიშოვა დაიფრინა.

ბოლო იმედი მოესპოთ ბრიტანელებსაც — ენდი მიურეიმ ვერაფერი გააწყო მარკოს ბაღდატისთან და სამ სეტში წააგო. კვიპროსელი კი, როგორც ჩანს, სლემტურნირებზე მშვენივრად გრძნობს თავს და არანაირ ავტორიტეტს არ უფრთხის. შეგახსენებთ, რომ კუნძულელმა წლეულს ერთ დიდ სენსაცია უკვე მოახდინა, როცა ავსტრალიის ღია პირველობის ფინალს უწია. ვინ იცის შეიძლება მარკოსმა აქაც ითამაშოს გადამწყვეტ მატჩში.

საინტერესო გამოდგა წყვილთა თანრიგში პარტნიორების — ონას ბორკანისა და მაქს მირნის მატჩი. თავიდან გამოცდილმა შვედმა დაიწყო კარგად და ორი სეტიც მოიგო, თუმც „ჩხეცად" წოდებულმა ბელარუსმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება. გადამწყვეტ პარტიაში უპირატესობა თითქოს უფრო ახალგაზრდა მირნის მხარეს უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნურას უკაცრავად — ასაკოვანმა სკანდინავმა თავისი გაიტანა და ბევრს სცოდავდა (10 ორმაგი და 40 უნებლიე შეცდომა), მაგრამ კლასმა მაინც თავისი გაიტანა და რუსი პრიმაც აგრძელებს ფინალისკენ სვლას.

გარდაუვალი ჩანს ბელგიური ნახევარფინალი — კიმ კლაისტერსი და ჟუსტინ ენენ-არდენი სეტწაუგებლად მიიწევენ ურთიერთშეხვედრისკენ და თუ მართლა ერთმანეთს დაეტაკნენ — ინტრიგა, ემოციები და ჯახი მაშინ ნახეთ.

ირაკლი ლაბაძეზე კი მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის — სწორედ მის გამო ვუცქერდით მთელი კვირის განმავლობაში ასე გაფაციცებით უიმბლდონს და აკი ვხარობდით კიდეც. ლაბაძემ, რომელიც მანამდე არც ერთი სლემტურნირის მესამე წრეშიც არ გასულა, წლეულს ყველა მოლოდინს გადააჭარბა და მერვედფინალამდე მიაღწია.

თუმც თავს ზემოთ ძალა არ არის — ნადალმა ძალიან ძლიერად ითამაშა და მის არანორმალურ აკურატულობას (არც ერთი ორმაგი და მხოლოდ 15 უნებლიე შეცდომა!!!) და უმაღლეს კონცენტრაციას მხოლოდ ერთი-ორი თუ დაუპირისპირებდა რამეს. თან ჩვენებურს არც მოწოდება წაუვიდა და შესაბამისად თავისი არსენალის ეს მძლავრი იარაღიც სათანადოდ ვერ გამოიყენა.

ლაბაძე ბოლომდე ეომა თანამედროვე ჩოგბურთის ერთ-ერთ სახესა და პირველკაცს და ერთი სეტისთვის შეეძლო ხელიც გამოეკრა. მეორე სეტის ტაი ბრეიკზე ირაკლიმ მინიბრეიკი გააკეთა და თავისი მოწოდებები რომ მოეგო, ანგარიშიც გათანაბრდებოდა. არ გამოვიდა — ნადალმა სწორედ აქ შეუტია და ჩვენებურიც წელში გატეხა.

მიუხედავად ამ წაგებისა, ირაკლი ლონდონში რჩება და კიდევ ითამაშებს — წყვილებში ჩვენებური მესამე წრეშია და აქ შეეცდება დაკარგულის ანაზღაურებას.

უიმბლდონზე ჩვენ კიდევ ერთ ჩოგბურთელზე შეგვტკივა გული — ნორჩი ანა ტატიშვილი იუნიორთა ტურნირზე გამოდის. ანამ უკვე მოასწრო ერთი წრის გასვლა, დაამარცხა რა სერბი ნატაშა ბორიჩი. ტატიშვილის მომდევნო მეტოქე ავსტრიელი ნიკოლა ჰოფმანოვა იქნება.

კახა ლომაშვილი

3 ივლისი

კაცები

მეოთხე წრე

რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:3 7:6 6:3; **რაფაელ შტეპანეკი** (14, ჩეხეთი) — ფერნანდო ვერდასკო (28, ესპანეთი) 6:7 6:3 4:6 6:4 6:2; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — მაქს მირნი (ბელორუსია) 6:3 7:6 4:6 2:6 6:3; **ლეიტონ ჰიუიტი** (6, ავსტრალია) — დავიდ ფერერი (23, ესპანეთი) 6:4 6:4 4:6 7:5; **მარკოს ბაღდატისი** (18, კვიპროსი) — ენდი მიურეი (ბრიტანეთი) 6:3 6:4 7:6; **როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ტომაშ ბერდიხი (13, ჩეხეთი) 6:3 6:3 6:4; **მარიო ანჩიჩი** (7, ხორვატია) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) 6:4 4:6 4:6 7:5 6:3; **იარკო ნიემინენი** (22, ფინეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (27, რუსეთი) 7:5 6:4 6:7 6:7 9:7

ქალები

მეოთხე წრე

მარია შარაპოვა (4, რუსეთი) — ფლავია პენეტა (16, იტალია) 7:6 3:6 6:3; **ანასტასია მისკინა** (9, რუსეთი) — ელენა იანკოვიჩი (25, სერბეთი) 6:4 7:6; **ელენა დემენტიევა** (7, რუსეთი) — შენეი პერი (აშშ) 6:2 6:0; **სემერინ ბრემონდი** (საფრანგეთი) — აი სუგიამა (18, იაპონია) 7:6 6:3; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (3, ბელგია) — დანიელა ჰანტუხოვა (15, სლოვაკეთი) 6:3 6:1; **ნა ლი** (27, ჩინეთი) — ნიკოლ ვაიდიშოვა (10, ჩეხეთი) 4:6 6:1 6:3; **კიმ კლაისტერსი** (2, ბელგია) — აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) 6:2 6:2; **ამელი მორესმო** (1, საფრანგეთი) — ანა ივანოვიჩი (19, სერბეთი) 6:3 6:4;

ჩიხლაძემ თიხისგან ტიტული გამოძერწა

რუმინული სადილი არგენტინული ჩაროზით

ქართველი ჩოგბურთელის ლადო ჩიხლაძის გამარჯვებით დასრულდა რუმინეთის ქალაქ იასიში ITF-ის (ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია) ეგიდით გამართული 10 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე საერთაშორისო ტურნირი.

იასის თიხაზე ATP-ის ბოლო რეიტინგში 597-ე ადგილზე მყოფი ქართველი მეორე ნომრად იყო განთესილი და ლადომაც, როგორც ფავორიტს შეეფერება, ისე ჩაატარა მთელი ასპარეზობა.

ფინალის გზაზე ჩიხლაძემ, ერთბაშად ოთხი მასპინძელი დაამარცხა. პირველ წრეში დან ვასილესკუს 6:3 6:4 მოუგო. შემდეგ ლორენცო-ანტონაუ ერლიკი დაჯაბნა 6:1 7:6, ვისაც ანდრეი მელენდეა მიაყოლა 4:6 6:3 6:2 და ნახევარფინალში კი ადრიან-ვასილე გავრილას 6:4 6:1 სძლია. ამდენი რუმინელის შემდეგ ფინალში ლადოს მეტოქე არგენტინელი მარტინ ალუნდი იყო და ქართველმა მასაც იოლად 6:3 6:2 მოუგო. როგორც ხედავთ, ჩიხლაძემ მთელი ტურნირი დამაჯერებლად ჩაატარა, ხუთ შეხვედრაში ერთადერთი სეტი დათმო და დამსახურებულად მოიპოვა მთავარი პრიზი.

ორშაბათს ATP-ის ახალი რეიტინგი გამოქვეყნდება და იასიში მოპოვებული გამარჯვების წყალობით ჩიხლაძე კლასიფიკაციაში მნიშვნელოვნად წაიწევს წინ.

ამასობაში ამერიკული კოლეჯ-პარკის ჰარდზე, ასევე ITF-ის ეგიდით ქალთა 75 ათასიანი ტურნირი ტარდება და ჩვენებული სალომე დევიძე კვალიფიკაციიდან ცდილობს ძირითად ბადეში მოხვედრას. კვალიფიკანტთა შორის მე-6 ნომრად განთესილმა სალომემ წარმატებული სტარტი აიღო და პირველ წრეში 6:1 6:0 გაანადგურა. ამერიკელი ემი ჯილინგემი. ქართველის მეორე მეტოქე კიდევ ერთი ამერიკელი ამანდა ფინკი იქნება.

გია მუჯირი

ბადრი კეთილაძის ფოტო

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფიცხელია
დირექტორი გიორგი ოქროფჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიბრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაშა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აბულეიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge